985.
240

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი 618
II ქორი და მონადირე ლექსი დ. გეგეჭკორისა . . . 619
III ფუტკარი და კრაზანა ა. ფ. 621
IV ცხენის და ვირის შეხვედრა (თარგმანი) ტასოსი . 622
V ერთი ზღარბის თავგადასავალი (თარგმანი) ნ. ენ—ძე 627
VI თავისიანების გატანა ჭიანჭველებთა შორის ტასოსი 639
VII სამნი ძმანი შვედური ზღაპარი. თარგმანი 640
VIII წვრილმანი 649

IX მახმადა ლექსი პუშკინისა თარგმ. მ. ბ. თუმანიშვილისა 650
X მიხეილ ვასილისძე ლომონოსოვი შედგენილი ა. ფ—სა 651
XI ვერცხლის მადნები (შემდეგი იქნება) თარგმანი ან წერეთლისა 636
XII როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან (შემდეგი იქნება ი. თ—ძე 661
XIII ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი—ვაჭრები უცხო სტუმრები შემდეგი იქნება ან. წერეთლისა . 671
XIV თავის მოვლა (დასასრული) ივ. გომართლისა . . . 675
XV გასართობი 680

იბეჭდება და მალე გამოვა გიორგი წერეთლის ლომ-კაცი სურათებით.

დაიბეჭდა და ეგზავნებათ ყველა ჯეჯილის ხელის მომწერლებს
(ვისაც ჟურნალის წლიური ფასი სრულათ აქვთ შემოტანილი)

«ღვთის ნუალოგა»

დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

—

რედაქციაში იყიდება ჯეჯილის სრული 18 წლის გამოცემა (დარჩენილია მხოლოთ 15 სერია), რომელიც შეადგენს 160 წიგნზე მეტს, გაგზავნით სხვა და სხვა ქალაქებში ეღირება 32 მან. სასწავლებლებს, რომელნიც თითონ წააღებინებენ, რედაქციიდან დაეთმობათ 28 მანეთათ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ნოემბერი, 1911

✦ წელიწადი მეოცდათორე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1911

F 4502
9411

მშობელი ბავშვებით (სურათი რუბენსისა)

ქორი და მონადირე.

ორმა დაჭქრიალა წიწილსა,
კლანჭები ჩაჭკრა, ჩაავლო;
ზე აიტაცა, მთის წვერზე
შეჭუტნა, მუსრი გააავლო!

ვეღარ გაამღო ამითა
მუცელი გაუმღომელი
და კვლავ დაეძებს საზრდოსა,
მთლად შეაძრწუნა სოფელი!

აგერ ქოჩორა წაიღო,
მწარედ ატირა ობლები;
ეგერ დედალს სწვდა, გოდებენ
წვრილი შვილების მშობლები!

—„ვეღარ კაკანებს ქათამი,
ვეღარ გამოდის გარეთა,
რა დღე დაგვიდგა ესაო“,—
მოსთქვამს ბედ-შავი არეთა!

—

თედოს ფეს-მარდსა, ხელ-მარჯვეს
და განთქმულ მონადირესა,
სოფელი შეშინებული
შველას სთხოვს, შველას მცირესა:

—„მოჭკალი ქორი, მოჭკალი,
თავს აგვაშორე ჭირია;

კარს მოგვდგომია სხვაც ბევრი
ტანჯვა და გასაჭირიო“!
თედომ ისმინა სოფლის ხმა,
სანადიროთა გავიდა;
ჯერ ძირს ეძებდა იმ ქორსა
შემდეგ-კი მთაზე ავიდა!
დრო მოუძებნა, მარჯვე დრო,
თოფი მიზანში აუღო,
ესროლა, მოჰკლა და ლეში
სოფლელებს ნიშნად წაუღო!

ლადო გეგეჭკორი.

ფუტკარი და კრაზანა.

ძშვენიერი ზაფხულის დილა იდგა. კრაზანა შეხვდა ფუტკარს და უთხრა:

— გამარჯობა ძმობილო, ჩემთან სალაპარაკოთ ხომ არა გცალიან?

— სწორეთ რომ არა ძცალიან. აბა, სალაპარაკო დრო სადა მაქვს! ჩქარა მითხარ რაშია საქმე?

— რატომ ადამიანს შენ უყვარხარ, გიგდებს ყურს და მე არც-კი შემომხედავს. ჩვენ ორივეს გვაქვს ფრთები, ისარი, ორივენი მთელი დღე დავფრინავთ. შენ უყვარხარ მას და მე-კი სიკვდილს მიქადის.

— ძრიელ ადვილი გამოსაცნობია. უპასუხა ფუტკარმა—მე ადამიანს სარგებლობას ვაძლევ და შენ-კი მარტო ვნებას აყენებ.

ა. ფ.





ცხენის და ვირის შეხვედრა.



ინდორში სძოვდა ბალახს ასალგაზრდა ცხენი. მან დაინახა ვირი, მიეიდა მასთან და უთხრა:



— გამარჯვება ჰატარა ცხენო!

— გაგიმარჯოს! მხოლოთ მე ჰატარა ცხენი არა ვარ, მე ვირი ვარ.

ცხენი დაეკითხა:

— ვირი? რათა ხარ ვირი და არა ჰატარა ცხენი?



— ჩვენში ბევრი განსხვავებაა: ცხენს ჰატარა ეურები აქვს მე-კი, ვირს—დიდი, დიდი ეურები მაქვს.

— რათა ხარ კიდე ვირი და არა ჰატარა ცხენი?

— აი კიდევ რათა: ცხენს გრძელი ძუით შემოსილი კუდი აქვს, მე-კი, ვირს, კუდი მოკლე მაქვს და როგორც ძროხას ფოჩიეით ჩამოკიდული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ რითი განირჩევი ჩემგან?

— აი რითი. ცხენს კისერზე ორივ მხრივ ფაფარი აქვს დაფენილი, მე-კი, ვირს, სულ მოკლე ფაფარი მაქვს ეკლებივით ზემოთ აშვერილი.

— კიდევ?

— გითხრა კიდევ? ცხენს ზურგი ქვემოთ აქვს დაშვებული, ჩემი ზურგი-კი სწორეა. კიდევ აი რა გითხრა: ცხენი მაღალია, თავი-კი პატარა აქვს, მე-კი, ვირს, თუმცა პატარა ვარ თავი და ეურები დიდრონი მაქვს. ახლა ხომ მიხვდი, რატომ მე ვირი ვარ და შენ ცხენი.

ცხენმა ახედ-დახედა ვირს და შეატყო, რომ ვირი მართალია. ეურები გრძელი — დიდრონი ჭქონდა, კუდი ძროხის მინაგვარი, ზურგი სწორე, უნაგირი მნელათ დაიდგმებოდა მასზე, ფაფარი სულ მოკლე, თითქოს შეეკრიჭათო, თითონაც პატარა იყო და თავი-კი დიდი ჭქონდა. სხვაფრივ თვალები, ფეხები და პირი სულ იმისთანა ჭქონდა, როგორიც ცხენს.

ცხენმა ხელახლავ ჭკითხა ვირს:

— ეგ ეველაფერი მართალია, მაგრამ ხვიხვინი

იცი? ერთი დაიუვირე ძენებურათ, დაგიგდებ ეურს, მინ-და შეკვიტეო როგორი ხმა გაქვს.

ვირმა გააღო პირი და დაიყროუინა, ჯერ ბოხი სმით, მერე წმინდათ...

— ოოოუ... ოოუ... ოოოუ...

ცხენმა გაიგო თუ არა ვირის ეროუინი საჩქაროთ მოჰკურცხლა—და ისე ლამაზათ, მხიარულათ დაიხვიხვინა თითქოს ვირს დასცინისო.

— ჭიი... ჭი... ჭი... ჭიჭ, რა სამაგლათ ეროუინებსო!... და ერთ წამს გაჩნდა თავის ჯოგთან.

მან მოუყვა თავისიანებს როგორი ულამაზოა ვირი, რა სასაცილო ყვირილი იცის, მასში კარგი არაფერი არა მოიპოვებაო!

სხვა ცხენებმაც ვირზე ბევრი კარგი არა სთქვესრა.

— ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რაცა ბრძანდება. მასზე კარგი არაფერი არა გვაქვს გაგონილი. ვირი სულელი პირუტყვია, ზარმაცი, ჯიუტი... ერთი სიტყვით სამაგელი რამ არის.

მაშინ ახალგაზრდა ცხენმა მიუგო.

— ხო, მეც აგრე მგონია, რომ სულელი და გამოუსადეგარი არის!

ერთი ბებერი ცხენი ეურს უგდებდა ამათ ლაპარაკს და ბოლოს უთხრა ახალგაზრდა ცხენს:

— შენ სცდები, ვირი კარგი პირუტყვია.

ახალგაზრდა ცხენს საშინლათ გაუკვირდა.

— რას ამბობ! რითაა კარგი?

— აი რითა: ის ჭკვიანი და შრომის მოყვარულია, მხოლოთ არ უნდა გააჯავრონ, არ უნდა ცუდ-უბრა-

ლოთ სცემონ, არ უნდა გადაჭარბებით აჭკიდონ დიდი საჭალნე.

— რით არის კიდევ კარგი?

— აი, რითაა: ჩუმი, დამჯერი, მომთმენი და წენა-



რია. საჭმელს ბევრს არა თხოულობს, მისი შენახვა მნელი არ არი.

მაშინ ახალგაზრდა ცხენმა უთხრა:

— ვირი ხომ ძალიან სასაცილოა, განა?

ამაზე ბებერმა ცხენმა უპასუხა:

— მართალია თავი და ყურები მეტათ დიდი აქვს, მუცელი გამობერილი, ხმა საძაგელი, მაგრამ ვირს ხომ, სილამაზით და კაი ხმის გულისთვის არ ინახამენ... მას ამუშავებენ. ვირისავით კარგი მუშა სხვა არ მოიპოვება.

— შეხედე ერთი, განაგრძო მან, რანაირი ფრთხილი, გონიერია მუშაობაში. რა დიდრონ და მძიმე კალათებს პატივით აზიდვინებენ ბოსტანში. რა დიდრონ თივის ზვინებს აჭკიდებენ ხოლმე. ხან-და-ხან კაცი ზედ შეჯდება და ტომრებსაც აჭკიდებს. ზოგჯერ პატარა ვირზე ორი კაცი ერთად შეჯდებიან და გაჩქარებით მიარბეინებენ. ცხენი ამას არმოუთმენს, არ აიტანს ამისთანა ტვირთს. ვირი ძალიან მორჩილი პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუტევია. მივა თუ არა ვირი თავის ბინაზე, მინდორში გაუშვებენ და გინდა თუ არა იპოვე საზრდო და

გამოიკვებეო. ვირი ცოტაოდენ ბალახს შესჭამს, მერე მივა ისევ თავის პატრონის კარ წინ და ელის როდის დატვირთავენ. მართლა რომ ვირი —ჭკვიანი, მომთმენი, დამჯერი და კარგი მუშაკია. ერთი ჩვეულება აქვს, უყვარს თბილი ქვეყნები. ძნელათა სძლებს ცივ ქვეყნებში საცა დიდი ყინვები იცის

ემაწვილებს ძალიან უყვართ ვირზე ჯდომა! ის დაბალია, წყნარი, იმაზე ჯდომა საშიში არ არის. სირბილი კარგი იცის, არ ანჯღევს, ხოლო არ უნდა სცემოთ, არ უნდა გაუჯავრდეთ, ცუდ-უბრალოთ არ შეაწუხოთ. მითი სეირნობა სწორეთ სიამოვნება ემაწვილებისთვის.

ვირები ჩვენში და ტაშკენტში ბევრია. **ტასო.**

(თარგმანი)

ერთი ზღარბის თავგადასავალი.

I.

ღამე ტყეში.

ამდებოდა. ძზე სულ მაღლა-მაღლა იკრებდა სხივებს, რომელნიც ფიჭვების კენწეროებს-ღა აშუქებდენ. გაჭქრა უკანასკნელი სხივიც და ტყეში დამყარდა სიბნელე. დაიძინეს ფიჭვებმა და ნაძვებმა, დაიძინეს არეის ხეებმა და ვერხვებმა, ბუჩქებმა და ბალახებმა, მიეძინათ ფრინველთ და ნადირთაც, რის გამოც სრული მეუდრეობა ჩამოვარდა ტყეში.

აჭა, აენთო ჰირველი ვარსკვლავი, მას მიჰყვა მეორე, მესამე, გაუბედავის ციმციმით მოედვენ შემოდგომის ცაზედ. ღამის ჰეჰელებმაც გაისწორეს თავიანთი ჰაწკია ფრთები და გაფრინდენ თეთრს ევავილებზე; ღამურაც უჩუმრად მიჰყვა მათ უკან, დაიბზუილა მაისის ბუზანკალმაც, გაანათა ციცინათელამ, სადღაც დაიკივლა ჭოტმა, ბაყაყებმა მორთეს ეიეინი ჭაობში,—და ტყემაც იწყო თვისი ჩვეულებრივი ღამური ცხოვრება.

აგერ ფოთლებშიაც რაღამაც შეიფაჩუნა; გამოჩნდა ღორის ჰატარა დინგი, ქუსლით მიტრიალ-მოტრიალ-

და ეველა მსარესკენ, შეისუნთქა ჭაერი, — სრული სიწუნარე სუფევდა, არავითარი საფრთხე არ იყო. მაშინ დინგს მოჭვა განიერი, მოკლე ტანი ხშირის მუქ წაბლის ფერის ეკლებით, ბოლოს ფოთლების გროვადან გამოჩნდა მოდაბლო არსება, მოკლე კუდით და ისეთის დაბალი თათებით, გეგონებოდათ მისი ბალნიანი მუცელი მიწაზე ეთრევაო.

ეს ზღარბი იყო. იგი თავის მოკლე თათებით სწრაფის ნაბიჯით გაიქცა. ხან შეჩერდებოდა ხოლმე, შეისუნთქავდა ჭაერს და მიუგდებდა ეურს ღამის ხმაურობას.

ზღარბი გაჭირებაში ჩავარდა. იგი ეოველ დღე დაიარებოდა სანადიროთ. მთელი დღე ეძინა ბუნაგში, არა უჭამია-რა, და ახლა მას ცდუნებით ეჩვენებოდენ მატლები, ლოკოკინები, ბაყაყები, თაგვები და სხვა სანუკვრები.

ზღარბმა ახლა მარჯვედ ინადირა: მან შესჭამა მინდვრის თაგვი *), მიაგნო ტეის ქათმების ბუდეს და შესჭამა 2—3 ცალი ბარტეი, იპოვა გველ-ხოკერა, რომელსაც ადვილათ მოერია და მოაჭამა თავი.

ზღარბი სრულებით გამაძღარი იყო; ახლა უნდა ეზრუნა დედა-ზღარბზე, რომელიც ბუნაგში იჯდა და დარაჯობდა თავის ახლად დაბრილ ბუმბებს.

ზღარბმა დასტაცა ჰირი მოკლულ გველ-ხოკერას და წაათრია თავის ბუნაგში, რომელიც მოთავსებული იყო საკმაოდ ფართო ორმოში და დახურული ჯაგნა-

*) გარეული ცხოველი, შუხედულებით თაგვსა ჰგავს, მაგრამ ომაზე ბატარაა და ძალზე გამოწეული დინგი აქვს.

რის ტოტებით და ფიჩხის გროვით. ბუნაგი მოფენილი იყო ფოთლებით, ჩალით, თივით და ორი გასავალი ჰქონდა—ჩრდილოეთით და სამხრეთით. თუ ზღარბს სამხრეთიდან მოელოდა განსაცდელი, იგი თავს იხსნიდა ჩრდილოეთის გასავლით, თუ ჩრდილოეთით—მაშინ სამხრეთის გასავლით. როდესაც ჩრდილოეთის ან სამხრეთის ქარი შეიქროლებდა ბუნაგში, ზღარბი შესცვლიდა ხოლმე სავალ გზას. საზოგადოთ იგი მხრუნავი, ბაგებული ჰატრონი და მოსიყვარულე მამა იყო ოჯახისა.

დედა-ზღარბი ბუნაგში იძყოფებოდა. იგიც ისეთივე ტანის და შეხედულობისა იყო, როგორც ჩვენი მჩხვლეტავი ნაცნობი. აქვე იწვენ ოთხი ჰატარა ახლად დაყრილი ბუმგები. ისინი ბრმები იყვნენ; მათი ჰატარა სხეულნი, შემოსილნი ნაზის თეთრის ეკლებით, გეჩვენებოდენ უძლურ ჰატარა გუნდებათ.

როდესაც მამა-ზღარბი გაჩნდა ნადავლით ბუნაგში, დედა მზრუნველობით ძუძუს აწოვებდა მათ. სულელ ჰატარა ბუმგებს არ ესმოდათ და ვერც ხედავდენ, თუ რა სანუკვარი მოუტანა მათ მამამ, დედა-ზღარბმა-კი დიდათ დააფასა ძღვენი, ისე შესჭამა, ნამცეციც აღარ დაუტოვებია.

ზღარბს მოსწყინდა უსაქმოდ, მით უმეტეს, რომ ღამე დაიწყო, ამის გარდა ჭხედავდა როგორის სიამოვნებით შეექცეოდა მისი მეუღლე გველ-ხოკერას, მასაც ისევ მოუნდა ჭამა და წელ-ახლად გაემგზავრა სანადირო, თან შეჭირდა დედა-ზღარბს ნოეიერ ქერქებს, ბუზებს და ჰეჰელებსა.

II.

ზღარბების ცხოვრება.

აწერილ ღამის შემდეგ უკვე საში კვირაც გავიდა. ბუმბები წამოიზარდენ. მათ ჰატარა შავი თვალები აესილათ და ალერსიანად გადაჰხედეს ქვეყნიერობას ე. ი. ჯერაობით თავიანთ ბუნაგს და დედ-მამას. მათ მწვეტიან, მოსდენილს დინგებზე, რომლებიც შემოსილიყვნენ მოუვითლო-ყომრალ ბალნებით, ამოსვლოდათ რამდენიმე ჯაგარიც. ბუმბებს თეთრი ეკლები დაუმუქ-



დათ, გაუწაბლისფერდათ ზურგზე და სრულებით მშობლებს დაემგავსენ. მათ უკვე გაიგეს გემო მატლებისა და ლოკოკინებისა, სარბად ახრამუნებდენ ტკბილ ქერქებს, რომელთაც ეზიდებოდა მათთვის გამნებივრებელი დედიკო.

მას ახლა არ აშინებდა ჰაწაწკინების ბუნაგში მიტოვება; იგი მამა-ზღარბთან ერთად ყოველ ღამ დადიოდა სანადირო და რაც-კი გემრიელი რამ შეხვდებოდა მოჰქონდა ბუნაგში შვილებისათვის.

— ჩვენც წაგვიყვანეთ სანადიროთ! ეხვეწებოდენ

ბუმგები მშობლებს, --ძალიან გვინდა ტეეში სირბილი, მოგვწყინდა სულ ბუნაგში სხდომა.

— არა, არა! მიუგო დედამ:—თქვენ ჯერ კიდევ პატარები ხართ, უძლურნი, არ იცით გორგალსავით შეხვევა.

— ვეღარ ვთავსდებით ბუნაგში, ჩვენ გვინდა ტეეში! არ ეშვებოდენ ბუმგები.

მამა-ზღარბი ძრიელ გაჯავრდა შვილებზე, მისი განრისხება გაძრისტა არა ჩვეულებრივ ღრუტუნით, რომელიც დაფის ცემას წააგავდა.

— რა თქვენი საქმეა სანადირო! ცხარობდა ის.—თქვენ ჯერ არ იცით რა საფრთხე გველის: ჩვენ გვდევნიან ძაღლები, გვჭამენ მელები, გვეულაპავენ ჭოტები, მაგრამ ყველაზე უსაშინელესი ჩვენი მტერი კაცია. იგი სადღაც წაიყვანს ხოლმე ბუმგებს. ერთმა მოხუცმა ზღარბმა მიამბო, რომ ზოგი ხალხი იჭერენ ზღარბებს, თხუპნიან თიხით, სწვამენ ცეცხლზე და სჭამენო*).

და თქვენ გინდათ მოსახრაკათ ჩაუვარდეთ ხელში?

ბუმგები მიწუნარდენ: მათ შეეშინდათ საზარელ ნაამბობისა და მამის განრისხებისა.

მამა-კი უფრო და უფრო აშინებდა შვილებს:

— ხომ არ გინდათ თქვენ, რომ ტყავი გაგაძრონ და ზღარბული ხელთათმანები გაგაკეთონ?

— რა არის ზღარბული ხელთათმანები? შეეკით-

*) ბოშები ნამდვილად სწვამენ ზღარბებს, და ამბობენ, რომ ამგვარად მომზადებული ზღარბის ხორცი ძრიელ გემრიელი, ნოყიერი და საამოა.

ხა ყველაზე გამბედავი შვილი, რომელსაც ჩვეულებრივ კადნიერებისათვის „შეუპოვარი“ უწოდეს.

— რა არის,—მე არ ვიცი, წარმოსთქვა ზღარბმა,— მაგრამ მგონია, რაღაცა საშინელება კი უნდა იყოს!

ზღარბულმა ხელთათმანებმა*) უფრო მეტად ჩაფიქრეს ბუმგები. დიახ, საშინელებაა უზარ-მაზარ ტყეში ყოფნა, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე მას მოელის დაღუპვა და ხიფათი. უმჯობესია სახლში ჯდომა.

დღისით ბუმგებს ეძინათ, საღამოთი-კი იღვიძებდენ დანქრეულნი და მისცვიოდენ ხოლმე საჭმელს, რომელიც მათ მშობლებს მოჰქონდათ. ისინი ეხსუბებოდენ ერთმანეთს ქერქებსა და ბეჭელებზე, მაგრამ მოძღებოდენ თუ არა კარგათ, იწყობდენ სირბილს ბუნაგში, საზოგადოთ ცელქობდენ როგორც ჭატარა ბავშვები.

თუმცა საშინელებათ ეჩვენებოდათ მათ ტყე, მაგრამ, მაინც ხშირათ მიადგებოდენ ხოლმე ბუნაგის გასავალს, საიდანაც გამოჰყოფდენ ხოლმე თავიანთი ცნობის მოყვარე დინგებს. მაგრამ როგორც-კი მოჰკრავდენ ყურს საეჭვო ხმაურობას, მაშინვე უკან იხევდენ, შეშინებით აფრუტუნებდენ და წამოიწევდენ შუბლზე თავის მჩხვლეტავ ტყავს, რის გამოც მათი დინგები იჭმუხნებოდენ და ძრიელ მოწყენილ შეხედულებას იღებდენ. ბუმგებმა დიდი ხანი არ არის, რაც

*) ზღარბთა ტყავებს და ხელთათმანებს ხმარობდენ ძველ დროში მემაუდენი მაუდის ხოს გასასწორებლათ.

ტუავის შუბლზე წამოწევა ისწავლეს და ძრიელ აძაუობდენ თავიანთის ცოდნით: მათ ეგონათ, რომ ახლა ისინი სრულებით დაზრდილი ზღარბები იყვენ.

ერთხელ ბუნაგის მახლობლათ მოესმათ ვიღასაც მძიმე ფეხის ხმა და შიშით, თითონაც ვერ გაიგეს, ერთ წუთში როგორ გადიქცენ ოთხ მჩხვლეტავ ბურთათ. ასე იწვენ მთელი ხუთი წუთი და შიშით ვერ გაშლილიყვენ.

ბოლოს ზურგზე ეკლები შეენძრათ, ფრთხილათ გამოუვეს თათები და მიწაზე გაჩერდენ, ნელა გამოძვრა დიდვრემილი დინგი ჩამოფხატულ წარბებით, შემდეგ თან და თან გადეჭიმათ მათ ტუავი დინგებზე, ეკლებიც გაუსწორდათ რიგზე და ბუმბებმა უწინდელი შეხედულება მიიღეს.

— მე, მგონი, ვიცი შეგორგვლა! წარმოსთქვა ყველაზე დიდმა, რისთვისაც მას ეძახდენ მეტ სახელად „დიდს“.

— მეც ვიცი! დაიფრუტუნა მეორე ძმამ, რომელსაც არაჩვეულებრივ გაუმაძღრობისთვის ეწოდებოდა „გაუმაძღარი“.

— მეც ვიცი! სთქვა ძუუპოვარმა და დაიწყო ხელახლათ ბუნაგში სირბილი, ჰაერის შესუნთქვა და დინგის კარებში გამოყოფა.

მხოლოდ ყველაზე პატარა, დედის საყვარელი-ბუმბი იწვა გორგალსავით დახვეული. მისი გული ხშირათა სცემდა; მას ელანდებოდა ყოველნაირი საშიშროება და გასაჭირი. მას ყველაზე ძრიელ ეშინოდა, რისთვისაც ძმებმა სახელათ „ძშიშარა“ უწოდეს.

— ჩვენ ვიცით შეგორგოლავება! ეუბნებოდენ ბუ-
ძგები, როდესაც მათი მშობლები დაბრუნდენ ნადირო-
ბიდან.

— აი ბარაქალა! უთხრა დედამ. — ახლა თქვენ
ნამდვილი ზღარბები ხართ. აბა, მიჩვენეთ, როგორ
გორგოლავდებით!

დიდმა, გაუმაძღარმა და შეუპოვარმა დაიფრუტუ-
ნეს და ერთს წამში გორგალსავით დაეხვენ.

— შენა, მშიშარავ, არ იცი? დაეკითხა დედა ჰა-
ტარა საუვარელს, რომელიც ეს არის ახლა მოვიდა
გონს.

მშიშარაც შეიგორგლა.

— ეოჩაღ! შეაქო მამამ. — ახლა თქვენ დიდი ზღარ-
ბები ხართ, ძალ-ღონე გაგიმაგრდათ და დროა თქვე-
ნი სანადიროთ წასვლისა. მე და დედა-თქვენს აღარ
შეგვიძლიან თქვენი კვება და ხვალვე უნდა გამოემგ-
ზავროთ თქვენც ჩვენთან ერთად.

უველაზე მადლიერი „შეუპოვარი“ იყო. იგი ის-
წრაფოდა საგმიროთ, ხიფათისთვის და ხალვათ ტეი-
საკენ.

„გაუმაძღარიც“ გახარებული იყო, ახლა-კი გა-
მოძღებოდა რიგიანად ლოკოკინებით, კუტი კალიებით,
თესლეულობით და ქერქებით.

„დიდი“-კი, როგორც შეეფერება დიდს, თუმცა
გახარებული იყო, მაგრამ თავს მხიარულათ არ აჩ-
ვენებდა.

ჰატარა „მშიშარა“ ემუძგებოდა დედას და მისთვის
ბუნაგში დარჩენა უფრო სასურველი იყო, ვიდრე სა-

ნადირობა წასვლა; მაგრამ მამასთან დავა არ შეიძლებოდა: მას არ უყვარდა შელაპარაკება.

თენდებოდა და ზღარბებს ძილი მოუნდათ. ახლა ყველანი ექვსივე ერთად შეეხვიენ გორგლებსავით და მიიძინეს. მათ სხვა და სხვა სიზმარი ნახეს: „გაუმაძღარმა“ ნახა სიზმარში გველები, თაგვები, ჩიტები, ძვრებოდა მათ ბუდეებში და სვლეპდა კვერცხებს; „მშიშარას“ მოესიზმრა, რომ იგი მელამ შესჭამა, „შეუპოვარს“-კი ესიზმრა, ვითომ თვით იმან შესჭამა ძაღლი, შესწვა კაცი და გააკეთა მისგან ხელთათმანები.

—

საღამო ჟამი დადგა, და ექვსივე ზღარბნი გაემგზავრენ სანადიროთ. მამა-ზღარბი წინ მიუძღოდათ; პირიდან ნერწყვი სდიოდა და ეცემოდა მიწაზე. მას მიჰყვებოდა დიდი, რომელიც ჭბაძავდა ყველაფერში მამას, იგიც ისევე ჩერდებოდა გზაში, ისუნთქავდა ჭაერს და ჭლვრიდა პირიდან ნერწყვებს, თვითონაც არ იცოდა, რისთვის *).

„გაუმაძღარი“ ყოველ ფოთოლს ქვეშ ეძებდა რამე შესაჭმელს.

„შეუპოვარმა“, იგრძნო თუ არა თავისუფლება, სრულიად ისარგებლა მით: იგი დარბოდა აქეთ-იქით, ეჯახებოდა ხეებს, ბზრიალასავით გორავდა პატარა ორმოებში და თხრილებში, ამითი ისეთი ბედნიერი იყო, რომ ჭამა სრულიად მიავიწყდა.

„მშიშარა“ დედის გვერდით მიდიოდა, და ამითი

*) ზღარბი გზა და გზა ჭლვრის ნერწყვს, რადგანაც უკან დაბრუნებისას უფრო მაღე პოულობს გზას.

მის წინ სვლას აფერხებდა. იგი ეოველ ფეხის გადადგმაზე ეხვეოდა გორგალსავით,—მას ეველგან ძაღლები, მელიები, ჭოტები და ხალხი ელანდებოდენ. და როგორი ბედნიერი იეო, როდესაც დაბრუნდენ ბუნაგში უვნებელნი!

ამ ღამიდან ზღარბები მუდამ დაიარებოდენ სანადირროთ და ეოველთვის მშვიდობიანათ მისდიოდათ საქმე. მაგრამ „შეუპოვარს“ ვერ აკმაეოფილებდა ასეთი უბრალო ნადირობა, იგი აგულიანებდა მშობლებს და ძმებს რომელიმე დიდ ნადირზე გალაშქრებას.

— ხვალ წავიდეთ გველზე, ქვეწარმავალზე! სთქვა ერთხელ მამა-ზღარბმა:—მე შევათვალიერე მისი ბუნაგი, რომელშიც ბევრი ჰატარა გველებია, ეველას გეეოფათ.

„შეუპოვარი“ სისარულისაგან რამდენჯერმე შეგორგოლავდა და გაიშალა, „დიდი“ მხოლოდ ძმის ცელქობას უცქეროდა, „გაუმაძღარი“-კი სთვლიდა, თუ რამდენ გვერს გადაჭელაპავდა ხვალ. „მშიშარას“ ეშინოდა საფრთხილო ნადირობისა, თუმცა უარს არ იტეოდა ქვეწარმავლის მშვენიერ ნაჭერზე.

ქვეწარმავალს შვილებით მშვიდათ ეძინა ბუნაგში, არ ფიქრობდა სიფათზე, ამასობაში მასზე დასაცემათ ექვსი ზღარბი დაიძრა. ისინი მეგობრულათ, ჯგუფათ მიდიოდენ, სიჩქარით მიადგამდენ ფეხებს; „შეუპოვარიც“-კი აღარ ცელქობდა და დარბაისლურათ მიდიოდა.

მამა-ზღარბმა შემოუარა გარშემო ქვეწარმავლის ბუნაგს, დაჭსუნა მას, „შეუპოვარი“-კი არ ეშვებოდა მამას. ქვეწარმავალმა გამოიღვიძა, დაისისინა და უკ-

ბინა ზღარბს დინგზე. ჰატარა ქვეწარმავალნიც წამოიშალენ და დაიწყეს სისინი. ერთმა მათგანმა „შეუჰოვარი“ დაჭკბინა, მაგრამ ამით ორი ზღარბი სულაც არ შეშფოთებულა; მათ მარტო გაილოკეს და განაგრძეს გველების დასუნვა. ქვეწარმავალნი თან და თან მმვინვარდებოდენ, უფრო იმიტომ, რომ მათი ნაზი სხეული ეწამებოდა ზღარბების ეკლებისაგან. ისინი შეუბრალებლად ჭკბენავდენ თავიანთ მტრებს დინგებზე, მაგრამ უსარგებლოთ: ზღარბები მხოლოდ ილოკავდენ თავიანთ ჭრილობებს, ბუნაგს-კი მაინც არ შორდებოდენ. ბოლოს ქვეწარმავალმა უკბინა ზღარბს ზემოთა ტუჩზე და ჩამოეკიდა ზედ; ზღარბმა მაინ ადვილათ მოიშორა ქვეწარმავალი და თავის მაკარის კბილებით დაუწიწკნა მას თავი. ამან დიდი გავლენა იქონია „შეუჰოვარზე“: იგიც ისევე მოურიგდა ჰატარა ქვემძრომს. დედა და ძმები დიდი ხანია შეებრძოლენ დანარჩენ გველებს, და რამდენიმე საათის შემდეგ ქვეწარმავალთა მთელი ბუნაგი დანგრეული და განადგურებული იყო; მარტო უთავებო სხეულები-ღა ეყარენ, რომლებიც ზღარბის ოჯახობამ მალე შესჭამა.

(თარგმანი)

ნინო ენუქიძე.

თავისიანის გატეხა.

ჭიანჭველებთა შორის

ერთხელ დავაცქერდი ჩამწკრიებულათ მიმავალ ჭიანჭველებს. მინდოდა შემეჩერებინა ერთი მაინც და ზედ დავადე პატარა ქვის ნატეხი. მის უკან მიმავალ ჭიანჭველამ რომ დაინახა ამხანაგის გაჭირვება დიდათ შეწუხდა, გაიგცა და შეატეობინა სხვებს. მაშინ ექვსანი მოცვივდენ მის დასახსნელათ. ზოგმა ქვას დაუწყო ღრღნა, ზოგი ცდილობდა მის გადაგდებას, ზოგიკი ისეთი ძალით სწევდა ტუსაღს, რომ მეგონა ეს არის ფეხებს მოაგლეჯნო. ბოლოს მაინც მოახერხეს მისი განთავისუფლება.

მაშინ მე მეორე ჭიანჭველას დავაფარე თიხის ნაჭერი ისე, რომ მხოლოთ ულვაშები ღა უჩანდა. ამხანაგებმა მაშინვე შეამჩნიეს, დაუწყეს თიხას ცოტ-ცოტა მოტეხა და ამხანაგი მალე სრულებით დაიხსნეს.

მესამე ჯერ, როცა ჩამწკრიებულნი ჭიანჭველები სადღაც მიეშურებოდენ, მივასწარ ერთს, გადავიევანე გზიდან მოშორებით და იმასაც თიხის ნაჭერი დავაფარე ისე, რომ მარტო თავი ღა უჩანდა. ამხანაგებმა ჯერ ვერ შენიშნეს. მერე ერთმა თვალი მოჭკრა, ეცადა გაენთავისუფლებინა, მაგრამ ვერა გააწყო-რა და სწრაფლათ გაიგცა. მე მეგონა ამხანაგს თავი დაანება. მაგრამ მან საშველათ თან ოორმეტი მეტი ჭიანჭველა მოიყვანა. ისინი მოეხვივნენ ტუსაღს და ერთ წამს გაანთავისუფლეს.

სამნი ძმანი.

შვედური ზღაპარი.

ინდა გიამბოთ სამი ძმის ამბავი. ისინი სოფლელები იყვენ და ერთი მეორეს არა გვანდენ. ერთს ერქვა იონა, მეორეს იანესი და მესამეს იანი.

მამას ყველაზე მეტათ უფროსი შვილი უყვარდა, რადგან დიდ ჭკვიანათ მიაჩნდა და მის სიფრთხილეს ყველაფერში ძალიან აფასებდა.

დედას-კი უმცროსი იანი უყვარდა, რადგან სწრაფი და გამბედავი ხასიათისა იყო.

შუათანა ვაჟი, იანესი, არც დედის და არც მამის საყვარელი არ იყო.

ერთხელ სოფელში მეფის ბრძანება გაიცა. მეფე აცხადებდა, რომ მის მზეთუნახავმა ქალმა საქრმო უნდა ამოირჩიოს. ყველას შეეძლო სასახლეში მისვლა თავადი იქნებოდა თუ გლეხი და ეთხოვნა მეფის ქალი ცოლათ. ვისაც ქალი ამოირჩევდა — იმას შეირთავდა.

ძმებმა მოინდომეს ბედის გამოცდა.

მამამ თავის საუვარელ იონას მისცა ფულით სავსე ქისა.

დედამ-კი თავის იანს მისცა სანოვაგით გატენილი თოფრაკი. შიგ ყველი, ქადები და ხორცი ბლომათ ელაგა.

იანესის არაფერი ერგო. მამამ უთხრა, რომ მან არ იცის ფულის ეადრი და ამიტომ არ აძლევს სამგზავრო ფულს. დედამ-კი უსაყვედურა: გამბედავი არა ხარ, მაინც შორს არ წახვალ, უსათუოდ უკანვე დაბრუნდებიო.

ძმები სახლიდან სხვა და სხვა დროს უნდა გასულიყვენ. იონა უნდა დილით გასულიყო, იანი — შუადღისას და ბეჩავი იანესი-კი საღამოს, მზის ჩასვლისას. ფრთხილი იონა განთიადისას გაუდგა გზას, თან ქისით ფული წაიღო.

გაიარა ცოტა თუ არა შედგა და ჩაფიქრდა — ვინ იცის გზაზე რა მოხდეს, წაილაპარაკა მან თავისთვის, — შესაძლოა რომ ეაჩაღები დამეცვენ თავს და წამართვან ფული, სჯობია აქ სადმე, მთის ძირას, მივმალო.

იონამ მართლაც ფული მიწაში ჩაფლა და შიგ ჩაარჭო დიდი ხის ტოტი, რომ ადგილისთვის მიეგნო და გაუდგა გზას.

გაიარა თუ არა ცოტას შეხვდა ერთი ჯუჯა. ძას მოჰქონდა მშვენიერი ვერცხლის ძაფით ნაკერი თავადის ტანისამოსი.

— აბრეშუმის ტანისამოსი სჯობია მაგ გლეხურ მაუდის ჩასაცმელს, უთხრა ჯუჯამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ფასში ჭეიდი?

— ათ ვერცხლათ

— კარგი, მოვიფიქრებ, თქვა იონამ,—მაგას კარგი ფიქრი უნდა.

იონა დიდხანს ფიქრობდა. წავიდა კიდეც ფულის მოსატანათ, მერე გადიფიქრა და დაბრუნდა. მეორეთ ისევ მოინდომა ფულის მოტანა, მაგრამ ისევ გამობრუნდა.

ასე ცხრაჯერ წავიდა და ისევ დაბრუნდა. მეათეჯერ რომ დაბრუნდა ჯუჯა აღარ დაუხვდა.

— რა სისულელე მომივიდა, რომ ის აბრეშუმის ტანისამოსი არ ვიყიდე.

მერე გზაზე მეორე ჯუჯა დაუხვდა. მას მოჰქონდა საუცხოო ვერცხლით შეჭედილი ხმალი.

— ეს ხმალი სჯობია შენ კომბალს; უთხრა ჯუჯამ.

— რა ფასში ჭეიდი?

— ათ ვერცხლათ.

— კარგი, მოვიფიქრებ, თქვა იონამ, მაგას კარგი ფიქრი უნდა.

იონა დიდხანს ფიქრობდა. ერთხელ კიდეც წავიდა ფულის ამოსაღებათ, მერე გადიფიქრა და დაბრუნდა. მეორეთ ისევ მოინდომა ფულის მოტანა, მაგრამ უკანვე დაბრუნდა.

ასე ცხრაჯერ მიდი მოდიოდა.

მეათეჯერ რომ დაუბერა წასვლა ჯუჯა აღარ დაუხვდა.

— არ დამაცადა, რომ მომეფიქრებინა. თქვა გაჯავრებით იონამ და კვლავ გაუდგა გზას.

ცოტა სანს შემდეგ შესვდა ახლა სხვა ჯუჯა, რომელსაც მოჰყავდა მშვენიერი რაში.

— ფეხით სიარულს რაშით მოგზაურობა სჯობია. უთხრა ჯუჯამ.

— რა ფასში ჰყიდი.

— ათ ვერცხლათ.

— კარგი. მოვიფიქრებ, თქვა იონამ.

ახლაც ცხრაჯერ წავიდა ფულის მოსატანათ და ცხრაჯერვე უკან დაბრუნდა. მეათეჯერ ველარ ნახა ვერც ჯუჯა და ველარც რაში.

— ახლაც ცარიელი დავრჩი, თქვა იონამ.

მთელი დღე და ღამე მიდიოდა და მხოლოთ გათენებისას მიადგა მეფის სასახლეს. შესავალთან ბოლოთას სცემდა ციხის დარაჯი, მეირფასათ შეიარაღებული და მორთული ბუმბულიანი ქუდით.

იონა შედგა და თავისთვის თქვა:

— როგორ უნდა მივიდე მეფის ასულთან? რაზე უნდა ვილაპარაკო. ამას ბევრი ფიქრი სჭირია.

დაჯდა კედლის ძირას, დაღალული და გამტვრიანებული მოჰყვა დიდ სანს ფიქრს და მძიმეთ ჩაეძინა.

ჰატარა ძმას, იანს, სხვა ბედი ეწვია. ის შუადღისას გამოვიდა სახლიდან, თან წამოიღო დედის ნაჩუქარი თოფრაკი ქადებით, ყველით და ხორცით გატენილი.

ტვირთი ემძიმა და თქვა:

— ამის თრევის თავი არა მაქვს, მოდი აქ სადმე ჩამოვკიდებ.

და სწორეთ იმ დიდ ტოტზე ჩამოჭკიდა, რომელიც ჩარჭობილი იყო მთის ძირში.

და იანი გაუდგა კვლავ გზას. ახლა ამას შეხვდა ჯუჯა, რომელსაც მოჭქონდა ოქრომკედით შეკერილი ხავერდის ძვირფასი ტანისამოსი.

— ხავერდი სჯობს მაუდს, უთხრა ჯუჯამ.

— შენ მართალი ხარ, წამოიძახა იანმა, ერთ წამს წაართვა ეს ძვირფასი ჩასაცმელი, გადიცვა და ძველი თავში ახალა.

— ეს ვიღაცაა აღარა ხუმრობს! წამოიძახა ჯუჯამ. მაგრამ იანის კვალი აღარსად იყო.

ახლა ამას შეხვდა მეორე ჯუჯა, მას მოჭქონდა ოქროს ტარიანი ხმალი.

— ხმალი სჯობია მაგ კომბალს, უთხრა ჯუჯამ.

— შენი მართალია, თქვა იანმა და გამოსტაცა ხელიდან ჯუჯას ხმალი, მიუგდო კომბალი და გაიცვა.

— შენ ვაჭრობა დიდ ხანს არ გცოდნია. თქვა ჯუჯამ, მაგრამ იანის კვალი აღარსად იყო.

ბოლოს იანს დახვდა მესამე ჯუჯა, რომელსაც მოჭუავდა მშვენიერი რაში.

— ფეხით სიარულს რაშით მგზავრობა სჯობია. თქვა მან.

— შენ მართალი ხარ, უპასუხა იანმა, მოახტა რაშს და გაჭქროლა. რაში შევარდა ხშირ ტყეში, ხეების ტოტები სახეს უჩხვლეტამდენ, ტანისამოსი მთლათ შემოეხია და რაში-კი მიფრინავდა, იანს ვერ შეეჩერებინა, ბოლოს ამოიღო ქირქაშიდან ხმალი და კისერში ჩასცა ცხენს.

მხედარი ჩავარდა ტლაპოში, რაშიც და ხმალიც გაჭქრენ.

იანი დიდ ხანს ეგდო ტუეში, მას მოშივდა და მოსწყურდა, ნატრობდა თავის თოფრაკს სანოვაგით.

მან ბოლოს ხეებ შორის დაინახა ქვიტკირის კედელი და სასახლის დარაჯები. დაატქერდა და მეფის სასახლეც შენიშნა, სადაც აპირებდა მისვლას.

— მივალ სასახლეში, ბურს მაინც მაჯმევენ, და იანი გაემართა სასახლისაკენ.

— ვინა ხარ? ჰკითხა დარაჯმა.

— ძე რაინდი ვარ.

— ჭუჭეიან და დაგლეჯილ ტანისამოსზე რაინდობა არ გეტყობა, იქნება ვინმე მაწანწალა ხარ.

ბასუხის მაგივრათ იანი მივარდა დარაჯს და ცემა დაუწყო. ამხანაგს სხვა დარაჯები მიეშველენ, იანი შებოჭეს და ციხეში, სასახლის ქვეშ, ჩააგდეს.

შუათანა ძმა იანესი გამოვიდა სახლიდან საღამოს, როდესაც მზე ჩავიდა. გზაზე გაიფიქრა, რომ უჯოხოთ არ წაისვლებაო, მოჭკრა თვალი მთის ძირას დიდ ტოტს და თქვა:

— მოდი ამისას ჯოხს გავიკეთებ.

და როდესაც ამ ადგილს მიუახლოვდა დაინახა რომ ტოტზე ჩამოკიდული იყო თოფრაკი სანოვაგით, საჩქაროთ ჩამოხსნა. მერე ამოაძრო ხის ტოტი და მის ქვეშ გამოჩნდა ფულით სავსე ქისა.

იანესმა მოაგროვა ყველაფერი და გაუდგა გზას. მასაც შეხვდა ჯუჯა, რომელსაც ეჭირა სავერდის ტა-

ნისამოსი მარგალიტით და მვირფასი თვლებით შეჭედილი.

— ხავერდის ტანისამოსი სჯობია შენ უბრალო მაუდის ტანისამოსს, უთხრა ჯუჯამ.

— მართალია, მაგრამ ადამიანის დაფასება ტანისამოსით არ შეიძლება. კაცი უნდა კეთილი გულისა იყოს, თორემ ტანისამოსი არაფერს უშველის. უთხრა იანესმა და უნდოდა გაევლო.

— შენ ისე ლაპარაკობ, როგორც პატიოსან კაცს შეეფერის, ამიტომ მიჩუქებია შენთვის ეს ტანისამოსი.

იანესმა მადლობა გადუხადა, ჩაიცვა ხავერდის ტანისამოსი და გაუდგა გზას.

შემდეგ მეორე ჯუჯა შემოხვდა. რომელსაც ხელში მვირფასი ქვებით მოჭედილი ხმალი ეჭირა.

— ხმალი სჯობია შენ კომბალს, თქვა ჯუჯამ.

— შეიძლება კაცს ხელში ხმალი ეჭიროს და მშიშარა კი იყოს. სჯობია უსმლოთ იყოს კაცი და მამაცი.

— შენ ისე ლაპარაკობ, როგორც პატიოსან კაცს შეეფერის, ამიტომ მიჩუქებია შენთვის ეს ხმალი.

იანესმა გამოართვა ხმალი, მადლობა უთხრა და გაუდგა გზას.

ახლა მას მესამე ჯუჯა დაუხვდა, რომელსაც მოეკუავდა მშვენიერი თეთრი რაში.

— ფეხით სიარულს, რაშით მოგზაურობა სჯობია.

— ვინც სწორი გზით დაიარება, მას მანძილი გრძლათ არ ეჩვენება.

— შენ ისე ლაპარაკობ, როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის, ამიტომ მიჩუქებია შენთვის ეს რაში.

იანესი მოახტა რაშს, ჯუჯას მადლობა გადუხადა და ერთ წამში სასახლეს მიადგა.

დარაჯმა ჰკითხა.

— ვინა ხარ?

— ტანისამოსი მეფისა მაცვია, მაგრამ მე უბრალო გლეხის შვილი ვარ.

დარაჯმა უპასუხა:

— მაშ სოფლელი ყოფილხარ და რათ გაცვია აგრე ძვირფასათ. უსათუოთ ეაჩაღი იქნები. ციხეში უნდა ჩაგსვათ.

ამაზე იანესმა დამშვიდებით უთხრა:

— ნუ მაყენებ შეურაცყოფას, სულაც არ მინდა იარაღი ვიხმარო.

ამისთანა დინჯმა ლაპარაკმა დარაჯი დაარწმუნა მის პატიოსნობაში და ანიშნა სხვა დარაჯებს, რომ კარები გაეღოთ იანესისთვის.

ის იყო იანესი უნდა სასახლეში შესულიყო, რომ თვალი მოჰკრა კედლის ძირას მძინარე იონას. მას სახე არ უჩნდა ძმამ ვერ იცნო ძმა, ის ისე გამტვრიანებული და გაგლახაკებული იყო, რომ მათხოვარს მიეგვანებოდა. იანესმა შეიბრალა მათხოვარი და კალთაში ჩაუდო ფულით ქისა.

სასახლის ეზოში იანესმა გაიგო რაღაც სმაურობა, რომელიც მოისმოდა სასახლის სარდაფებიდან.

— რა ამბავია? ჰკითხა მან.

— ვიდაც სეტიალა, მაწანწალაა და ციხეში ჩავსვით.

— მიეცით ეს თოფრაკი სანოვაგით. დეე სჭამოს ქადები, ეველი და ხორცი, უთხრა იანესმა.

კარის მცველებმა ვერ გაბედეს უარის თქმა და დიდ კაცს აუსრულეს ბრძანება.

სატახტო დარბაზში იჯდა მეფის ასული და საქრმოებს მოელოდა.

ეოველ დღე მოდიოდენ აქ სხვა და სხვა რაინდები, თავადიშვილები, გრაფები და სხვანი. ცოტა გამოლაპარაკების შემდეგ მეფის ასული გააგდებდა მათ და ისინიც შერცხვენილნი გარბოდენ.

როდესაც იანესი შევიდა მეფის დარბაზში, თვალები აუბრჭყვიალდა იქაური მვირფასი მორთულობით.

ტახტზე იჯდა მეფის ასული, აქეთ-იქით უდგენ კარის კაცნი.

ერთმა მათგანმა იანესის უთხრა:—შენ ნება გეძლევა სთხოვო მეფის ასულს სამი მოწყალება. რაც გინდოდეს სთხოვე.

იანესმა თქვა:

— მეფის ასულო, ჩემი პირველი თხოვნა ის არის, რომ უბრძანოთ თქვენ კარის კაცებს ჩემი ორი ძმა მიპოვონ, რომელნიც აქ მოდიოდენ და გზა დაეკარგათ.

მეფის ასულმა მოიხმო ერთი კარის კაცი და ჰკითხა:

— მაგის ძმა ხომ არ არის კედელთან რომ ზის და სულ რაღაზედაც ფიქრობს?

— უსათუოდ ეგ ჩემი უმფროსი ძმა იონა იქნე-

ბა, აჩუქეთ მას ფული და გაისტუმრეთ მამასთან. ეგ იმის საუვარელია. ეს ჩემი მეორე თხოვნა იქნება.

მერე მეფის ასულს მიუახლოვდა მეორე კარის კაცი და მოახსენა:

— მაგის მეორე ძმა ხომ არ არის ის კაცი, რომელიც გუშინ დარაჯებს ეჩხუბა და ხვალ უნდა ჩამოახრჩონ.

— ეგ ჩემი უმცროსი ძმა იქნება. აპატიეთ და გაგზავნეთ დედა-ჩემთან, იმას ეგ ძალიან უუვარს და ჩემგანაც ეგ მესამე თხოვნა იქნება.

მეფის ასული წამოდგა.

— სულ სხვებისთვის თხოულობ, რატომ შენთვის არაფერი ითხოვე? შენ ღირსი ოფილხარ რომ იმეფო და გირჩევ ჩემ საქრმოთ.

მეფის ასულმა მოიხსნა თავიდან გვირგვინი და დაადგა იანესის თავზე.

გაიმართა სასახლეში გაუთავებელი ლხინი და ქორწილი.

ძმები მოწვეულნი იყვენ ქორწილში და დიდი საჩუქრებით დაბრუნდენ სახლში.

ძოსუცებული დედა აუვედრიდა ქმარს:

მე კარგათ ვიცოდი რომ შენი ძოსიუვარულე იონა ფიქრებში გაერთობოდა და დაიგვიანებდა.

ქმარმა ამაზე პასუხი გასცა:

— მეც ვიცოდი რომ შენი იანი ცხარე და მოჩხუბარია.

ტახო.

(თარგმანი)



ხადღეგრძელო.

(გაგონილი სოფ. ბეთლევში და ჩაწერილი სემინარიის მოწაფის ქედბაქიანის მიერ).

წყალში გაგიმარჯოს!
ღვინო გაამოს!
შენმა მტერმა და ორგულმა
თვალი ეკალზე წაავოს!
რაც იშოვოს და იპოვოს
საექიმოში წააგოს:
დნებოდეს, ჭკნებოდეს
შენგან ვერას რჩებოდეს!!!

ა მ ო ც ა ნ ა

(ჩაწერილი ან. კაბანაძესაგან).

ერთი რამე სულიერი
თავს არ იღებს ყადივითა.
ცეცხლი სძულს და შეშა უყვარს,
მორცხვი არის ქალივითა.
მე მინახავს თავადები
მას მისდევდენ ყმანივითა.

ჭინჭარი, ბიჭინჭარი
ოთხი ფეხით მიბიჯარი.
არცა უნდა თივა-ქერი
არც ლამაზი უნაგირი.

მახმადა*)

(პუშკინიდან გადმოგვეთარგმნილი)

რა ამაოდ ვიყავ მარხული
და დღე და ღამე მინდვრად ვიდოდი:
მადლსა ღვთისასა გამოველოდი,
და ვიხილე—(ცა მე სასწაული.
მოდგმული იყო ჩემზე კრონოსი
და თავსა მადგა მე ანგელოსი.
მან ჯერ ნელიად მიგერა ფრთენი,—
და მერე თვალთა შემახო ხელნი:
და ვითა არწივს თვალნი აღმეხვნეს
და ცისა ნათლით გამიცისკროვნდეს.
ყური მომწია, და უცებ ყური
ამევსო ხმითა და წკრიალითა:
და მესმა გრძნეულს გრგვინვა ციური
და ანგელოსთა ფრენა ზეცითა;
და ზღვასა მცხოვრებთ ქვესკნელ მსვლელობა
და ხეზე ფურცელთ აღმოცენება.
ბაგე განმიხო, და აღმომხადა
ენა მკოდველი, ენა მზაკვარი,
და სიბრძნის გველის შხამი ისარი
განხიდა პირში ენის ნაცვლადა.
და მახვილითა მკერდი განმიპო,
და აღმომგლიჯა გული მთრთოლარე
და მუნ ნახშირი წითლათ მგზებარე
ნაპერწკლის სროლით მედგრად შთამიგდო.
ვიდე უდაბნოს დიდხანს უძრავად,
და მოიწია ჩემდა ხმა ღვთისა:
„მქადაგებელო, კეთილო მონავ,
„აღსდეგ, იხილე და გულის ხმა ჰყავ,
„ჩემის სურვილით აღივსე გული,
„მოვლე სრულიად ზღვაი და ხმელი,
„ქადაგების ხმა ზე აღამაღლე,
„და კაცთა გული აღუსახმილე!“—

---

*) ეს ლექსი გადმოღებულია პუშკინიდან მიხეილ ბირთველის ძის თუმანიშვილის მიერ და აქამომდე არსად არ ყოფილა დაბეჭდილი.

Читальня Р. Соціалист. Совет.

მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი.

(1711—1765)

ეიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი წარმოადგენს ნამდვილ მაგალითს, თუ ცოდნის სიყვარულს და მისკენ მისწრაფებას რამდენათ შეუძლიან ადამიანის ამაღლება. უბრალო გლეხის შვილი, რომელსაც არა ენახა-რა, გარდა თავისი სამშობლოს სუსხიანი ბუნებისა, რომელმაც თავისი ბავშობა გაატარა ყინულიან ზღვის ნაპირზე და ზღვის ტალღები და ქარიშხალი მისთვის რაღაც მშობლიურს წარმოადგენდა, აი ასეთ ყმაწვილში იბადება ცოდნის სურვილი, მას იპყრობს სწავლის მხურვალე სურვილი.

ის ანებებს თავს მშობლიურ კერას, მამას, ნათესავებს, თავის ცივ-ყინულიან ზღვას, რომელმაც მას ბევრი რამ ასწავლა და გარბის შორს, მოსკოვში, სადაც ეგულება ბევრი სკოლები და ნასწავლი ხალხი. 19 წლის ყმაწვილი დაიარება პა-

ტარებთან ერთად სკოლაში და ან-ბანს სწავლობს. მას არ აჩერებს არც დაცინვა ამხანაგებისა, არც სიძნელე და არც შიმშილი.

ნიჭიერმა ყმაწვილმა მოსკოვში დაამთავრა სკოლა და აკადემიაში გადავიდა. იქაც რომ გაათავა, წავიდა საზღვარ გარეთ, საიდანაც ჩვეულებრივ შემოდიოდა მეცნიერება.

საზღვარ გარეთი განსაკუთრებით გერმანია, წარმოადგენდა ისეთ ქარხანას, სადაც იჭედებოდა რუსთათვის მეცნიერება. მაშინ ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ მხოლოთ ევროპიდან, გერმანიიდან უნდა შემოვიდეს მეცნიერებაო. ლომონოსოვი ებრძოდა ამ აზრს, უნდოდა დაემტკიცებინა რომ რუსეთშიაც შეიძლებოდა გაჩენილიყვენ ისეთივე მეცნიერნი, როგორათაც მაგალითად ნიუტონი იყო.

ლომანოსოვისთვის ყველაფერი საყურადღებო იყო: ის სწავლობდა ქიმიას, ფიზიკას, მადნეულობას დიდ ყურადღებას აქცევდა, მუშაობდა ქარხნებში, სწერდა ლექსებს, იგონებდა საშუალებას, რომ მოემზადებინა ფერადი შუშა. ერთი სიტყვით იგი იყო მრავალ გვარი ნიჭის პატრონი. ის არ იყო კმაყოფილი შეძენილი ცოდნით და ყოველთვის იკვლევდა და იგონებდა ახალ გზას. ლომონოსოვი იყო ნამდვილი თავის დროის განვითარებული კაცი და მიაჩნდა სინამდვილეთ ის, რასაც ასი წლის წინეთ ზღაპრათ სთვლიდენ. ის იყო თანამედროვე საზოგადოების გზის მაჩვენებელი და ყოველ გვარი შეფერხების წინააღმდეგი. იგი ქადაგებდა საერთო განვითარებას.

მართალია, ამბობდა ის, ბუნების შესწავლა ძნელია, მძიმეაო, მაგრამ რაც უფრო მეტს საიდუმლოებას ახდის ფარდას, ადამიანის გული მით უფრო მეტს სიხარულს იგრძნობსო.

ლომონოსოვი არის დიდებული არა როგორც ფიზიკოსი, ან როგორც პოეტი, ან ბუნების მეტყველი — არა, ის მთლად, ერთიანათ შესანიშნავი იყო. მისი ცხოვრება, მუშაობა, მისი სიყვარული სამშობლოსადმი წარმოადგენს მშვენიერ მაგალითს, რომელსაც უნდა მიბაძოს ყოველმა ადამიანმა.

ლომონოსოვს უყვარდა სამშობლო არა მარტო სიტყვით ის ცდილობდა დაემტკიცებინა საქმითაც, ეჩვენებინა, რომ მის სამშობლოს შეეძლო შეექმნა დიდებული კულტურული ძალა.

ლომონოსოვი ცდილობდა შეემუშავებინა ლიტერატურული ენა ხალხის ენიდან, რადგანაც იცოდა, რომ ენა არის ადამიანისთვის განვითარების იარაღი. მან კარგად იცოდა რომ ადამიანი თავის მოკლე სიცოცხლეში, ვერ მიაღწევს ყველა მიზანს და ცდილობდა გაეკაფა გზა, რომ სხვებს ადვილათ გაევლოთ.

ჩვენ ამ მოკლე ამბით გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რა შეუძლიან ნიჭს და რას არ დასძლევს მეცადინეობით ადამიანი.

ს. ფ—სი.



ᲕᲔᲠ ᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲔᲑᲘ.

შვედელი მწერალი ქალის სელმა ლაგერ ლეფის

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ეფე გუსტავ მეორეს უნდა გაეგვლო დალიკარნიაზე. მეფე ძალიან ჩქარობდა. ცხენები მიაქროლებდენ ეტლს, თითქმის მიწას არც კი ეკარებოდენ, მაგრამ მეფე არ იყო კმაყოფილი. წამ და უწუმ ეტლიდან თავს გამოჰყოფდა და მეეტლეს უყვიროდა: რა დაგემართა, გარეკე ცხენები, ისე მივდივართ, თითქოს კუ მიცოცავსო. კვერცხის ნაჭუჭი ხომ არ არის ეს ეტლი, რომ გატყდეს.

გზა ოღრო-ჩოღრო იყო და ეტლი როგორ გაუძლებდა ამ სწრაფულ სიარულს, მართლაც ერთ ადგილზე ცხენს მოსართავი მოეშალა ეტლი გატყდა და გაჩერდა. კარის კაცნი საჩქაროთ გადმოვიდენ ეტლიდან და დაუწყეს ჩხუბი მეეტლეს, მაგრამ ამით რას უშველიდენ. ისინი გზას ხომ ვერ განაგრძობდენ, სანამ ეტლს არ მოაწყობდენ.

კარის კაცებმა არ იცოდენ როგორ გაერთოთ მეფე და აქეთ-იქით გაიყურებოდენ, უცბათ თვალი მოჰკრეს პატარა ტყის იქით ეკლესიის სამრეკლოს. მათ სთხოვეს მეფეს მათის ეტლით ეკლესიაში წაბრძანებულიყო. რადგან კვირა დღე იყო, უსათუოდ წირვას მიუსწრობდენ.

მეფე დასთანხმდა და გაუდგენ გზას. აქამდის მოღუშულ. ხეებით გაბარდნილმა გზამ თან და თან მხიარული ფერი მიიღო: გამოჩნდა პატარ-პატარა სოფლები, ყანები, მინდვრები. შიგა და შიგ იკლაკნებოდა ლამაზათ ცელქი მდინარე, რომლის ნაპირები თხმელის ბუჩქებით მოფენილი იყო.

პატარა ეკლესია გორაკზე იდგა. ის იყო წირვა გამოსულიყო ხალხი იშლებოდა, როდესაც ეტლი მიუახლოვდა ეკლესიას. გუსტავი შედგა ეტლის საფეხურზე და ყურადღებით დაუწყო ხალხს ყურება. ამისთანა ლამაზი, შნოიანი ხალხი იშვიათათ ენახა მეფეს, კაცები იყვენ წამოსადეგნი, ჭკვიანი და

გამჭრიახი სახით; დედაკაცები, ტანოვანი და მედიდური შეხედულობით, როგორც დღესასწაულს შეჰფეროდა.

წინა დღეს, ამ უდაბურ ადგილებზე გავლის დროს, მეფემ რამდენჯერმე უთხრა თავის კარის კაცებს: ამისთანა ლარიბი ქვეყანა ჩემ სამეფოში მეორე არ მოინახებაო. ახლა-კი, როდესაც შესცქეროდა ამ ხალხს, თავიანთებურათ მორთულს, ისინი სულაც არ მიაჩნდა ღარიბათ. მეფემ იგრძნო რაღაც სიამე და გულში გაუარა: შვედიის მეფე ისეთ ცუდ მდგომარეობაში არა ყოფილა, როგორათაც მის მტრებს მიაჩნიათ: ამისთანა ქვეშევრდომების პატრონი შეიძლებს თავის ტახტის დაცვას და თავის ქვეყნის გადარჩენას უბედურებისაგან.

გუსტავმა უბრძანა თავის კარის კაცებს, ხალხს გამოუცხადეთ, რომ აქ მოსული უცხო, უცნობი არის თვით მათი მეფე და რომ მას სწადია ხალხთან ლაპარაკი.

ხალხი შეჯგუფდა. მეფე მაღლობ ადგილას ავიდა და მოჰყვა ლაპარაკს.

აუხსნა რომ სახელმწიფო გაჭირვებაშია, რუსები და დანელები უცხადებენ შვედელებს ომს.

— სხვა დროს, რასაკვირველია, საშიში არ იქნებოდა ამ გვარი მდგომარეობა, ამბობდა მეფე,—მაგრამ ახლა მეომარი სანდო არ არის, ღალატი იციან, სხვა საშუალება არა მაქვს და ამიტომ მე თვითონ ჩემ სახელმწიფოში დავდივარ, უნდა ყველას ვკითხო ომის დროს—ჩემი ერთგულები იქნებიან, თუ მტერს მიუდგებიან. ვინ მიშველის ან ფულით, ან კაცების გამოყვანით სამშობლოს დასაცველათ?

მეფემ გაათავა ლაპარაკი. ხალხი სდუმდა. ძნელი გამოსაცნობი იყო, მეფის სიტყვები ავად მიიღებს თუ კარგათ.

თვითონ მეფე გრძნობდა, რომ კარგათ და გულ ახდილათ ილაპარაკა, ცრემლებიც კი მოადგა თვალებზე, მაგრამ რაკი ხალხი ხმას არ იღებდა, შუბლი მოეჭმუხნა და სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა.

თვითონ ხალხმაც შეატყო, რომ დიდ ხანს არიან გაჩუბებულნი. ერთი მათგანი წინ წადგა და უთხრა მეფეს:

— შენ კარგათ მოგეხსენება, მეფევ, რომ ჩვენ სრულებით არ მოგელოდებოდით და ამიტომ ვერც პასუხს მოგახსენებთ ახლავე. სჯობია მოელაპარაკოთ ჩვენ მღვდელს, ის ახლა სა-

კურთხეველშია, სანამ ჩვენ აქ ერთმანერთში მოვამზადებთ პასუხს

მეფე მიხვდა რომ ამათგან ვეღარას შეიტყობს და გაემართა მღვდლისკენ.

საკურთხეველში დაუხვდა მხოლოთ ერთი კაცი, შუა ხნისა, რომელიც სულ სოფლელს მიეგვანებოდა, მაღალი ტანისა და ხელები მუშაობისაგან დაკოჟიჟებული ჰქონდა. თეთრი ხამი სარფინკის პერანგი და ტყავის შალვარი ეცვა.

ის მეფეს წამოუდგა ფეხზე და თავი დაუკრა.—მე მცგონა რომ აქ მღვდელი დამიხვდებობა!

მღვდელი ცოტათი წამოწითლდა, მიხვდა რომ მეფემ ის უბრალო გლეხ-კაცათ მიიღო და უხერხულათ ჩათვალა, თავის ვინაობის გამხილება და თქვა:

— დიაღ, მეფეო, მღვდელი ჩვეულებრივ ამ დროს აქ არის ხოლმე.

მეფე დაეშვა იმ დიდ სავარძელში, რომელიც დღემდის დგას იმ საკურთხეველში მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ახლა მორთულია მეფის ვარაყიანი გვირგვინით.

— კარგი მღვდელი გყავთ? იკითხა მეფემ. ამითი უნდოდა ეჩვენებინა თავისი ყურადღება გლეხებისადმი.

ახლა კი სრულებით ვეღარ გაამხელდა მღვდელი თავის ვინაობას და გაიფიქრა: დეე, ეგონოს მეფეს, რომ მე უბრალო გლეხი ვარ.

და უპასუხა მეფეს:—მღვდელი ღვთის სიტყვას გარკვევით და გასაგებათ უხსნის ხალხს და ცდილობს ისე იცხოვროს, როგორც თვითონვე ქადაგებს.

— შენ მას დიდ ქებას ასხამ! უთხრა მეფემ, თან მის მკვირცხლ სმენას არ გამოეპარა დაცინვის კილო და თქვა:

— გეტყობა შენ თვითონ არა ხარ მისი კმაყოფილი.

— ცოტა არ იყოს პირქუშია' წარმოსთქვა მღვდელმა.

ის ფიქრობდა, რომ თუ მეფე უკაბედათ შეიტყობს მის ვინაობას—არ იამება რომ ის თავის თავს აქებს და ამიტომ დაუმატა:—ზოგი ამბობს, რომ მღვდელს უყვარს ბატონობა.

— ძალიან კარგათ სჩადის,—წარმოსთქვა ცივათ მეფემ; რომელსაც არ მოეწონა, რომ ვიღაც უბრალო გლეხი უფროსზე ასე ლაპარაკობდა.

— მე ვხედავ, რომ აქაურ ხალხს ძველებური ზნე-ჩვეულება შერჩენია.

— მართალია, აქაური ხალხი ურიგო არ არის, დაეთანხმა მღვდელი,—ესენი გაცალკევებულნი მყუდროთ ცხოვრობენ, ღარიბნი არიან; სხვა გარემოებაში რომ ეცხოვრათ—იქნება ესენიც აჰყოლოდენ სხვებს.

— არა მგონია. არც რამე საშიში იქნებოდა. მხრების აწევით შენიშნა მეფემ.

მეფე სდუმდა და მოუთმენლათ მაგიდაზე ათამაშებდა თითებს. მისი ფიქრით სრულებით საკმარისი იყო რაც ილაპარაკა და უკვირდა, რატომ აქამდის ხალხი პასუხს არ იძლეოდა. ეტყობოდა რომ ამათგან ხეირი არა გამოვიდოდა-რა. „ნეტა ეტლი მალე მზათ იყოს და რამდენიც უნდა იყაყანონ მე წავიდოდი აქედან“.

მღვდელიც ძალიან დაფიქრდა. რაღაც უნდა გადაეწყვიტა და ვერ ბედავდა მის გადაწყვეტას. ერთის მხრით უხაროდა კიდეც რომ მეფემ არ იცის მისი ვინაობა და უფრო ადვილი იქნებოდა იმისი თქმა, რის თქმაც უნდოდა.

ბოლოს მან დაარღვია სიჩუმე და გაბედა მეფისთვის ეკითხნა: მართლა შეწუხებულია სახელმწიფო მტრებისაგან?

მეფემ მედიდურათ გადახედა და არაფერი უპასუხა.

— ნუ თუ ტეტია სოფლელი ვერა ხედავს, რომ არ შეიძლება მეფეს ასე ელაპარაკონ.

— მე იმიტომ გკითხავთ, რომ იქ არ ვიყავი, როდესაც ლაპარაკობდით. თუ მართლა სახელმწიფო გასაჭირშია, იქნება აქაურმა მღვდელმა შეიძლოს იმდენი ფულის შოვნა, რამდენიც დასჭირდება მეფეს.

— შენ ეს არის ახლა ლაპარაკობდი, რომ აქაური ხალხი ძალიან ღარიბია, შენიშნა მეფემ, ეგონა რომ ამ სოფლელმა ეს უნებურათ წამოროშა.

— მართალია, აქაურები ღარიბები არიან, მღვდელს სხვებზე მეტი არა აქვს. თუ მეფე მოწყალებას მოიღებს და ორიოდ წუთს მომისმენს, მე ავუხსნიდი რა გვარათ შეუძლიან მღვდელს უშველოს სახელმწიფოს.

ეტყობა ამის ენა უფრო მოძრავია, ვიდრე მაგისი მეზობლებისა და ამხანაგებისა, გაიფიქრა მეფემ. მაგათთვის ძნელი ყოფილა მეფესთან ლაპარაკი. იქნება თვითონ არის მღვდელი“.

მეფე ღრმათ მოთავსდა სავარძელში, ფეხი ფეხზე გადასდო, გულ-ხელი დაიკრიფა და თავი ჩაღუნა

— აბა სთქვი, რაცა გაქვს სათქმელი. ნამძინარევის ხმით უთხრა მეფემ.

— ერთხელ ჩვენ სამრევლოდან ხუთი კაცი წავიდა სანადიროთ მახლობელ ტყეში, დაიწყო თავისი ამბავი მღვდელმა. ერთი მათგანი იყო აქაური მღვდელი, ორი ჯარის კაცი, ძმები ოლაფი და ერიკ სვერდი, მეოთხე იყო სოფლის მედუქნე და მეხუთე—სოფლელი გლეხი, სახელათ პერ პერსონი.

— ნეტა რა საჭირო იყო ყველა სახელების ჩამოთვლა, წაიბუტბუტა მეფემ და თავი გვერდზე გადიგდო.

— ესენი ყველანი კაი მონადირენი იყვენ. განაგრძო მღვდელმა—მოამბემ,—და ყოველთვის ნადირობაში ბედი ხელს უწყობდა. მაგრამ ახლა მთელი დღის განმავლობაში ვერაფერს წააწყდენ. ბოლოს მოიღალენ და დასხდენ დასასვენებლათ. ბევრს ლაპარაკობდენ თავიანთ გაჭირებაზე, რომ მთელ ტყეში არ მოინახება საყანო ადგილი, სულ კლდე-ღრე და ჭაობებიაო". ღმერთი უსამართლოთ მოგვეგცაო, ჩიოდენ, რომ ამისთანა უხიაკო ადგილი მოგვცა საცხოვრებლათო. სხვა ადგილებში ხალხი სიმდიდრეს იძენსო, აქ კი რაც უნდა ვიმუშაოთ ლუკმა პურს ძლივს ვშოულობთო.

აქ მთხრობელი ერთ წუთას შედგა, თითქოს არ იყო დარწმუნებული, რომ მეფე მას ყურს უგდებდა. მაგრამ შენიშნა რომ მეფემ ნეკი გაანძრია საჩვენებლათ, რომ არა სძინავს.

— სწორეთ ამ ლაპარაკში რომ იყვენ, განაგრძო მთხრობელმა,—მღვდელმა შეამჩნია, რომ იმ ადგილას, საცა მან ხავსი ფეხით ოდნავ მისწი-მოსწია, რაღაც აბრჭყვიალდა. „რა უცნაური მთა ყოფილა! გაიფიქრა და მეტი ადგილი გაჩიჩქნა. მერე ხელში აიღო ქვის ნაჭერი, ისიც ელვარებდა.—შეუძლებელია რომ ტყვია იყოს! წამოიძახა მან ხმა მაღლა.

„მეორე მონადირენი წამოვარდენ ფეხზე და დაიწყეს თოფის კონდახებით ადგილის ჩიჩქნა. მალე ყველამ შეამჩნია მთაზე კარგა განიერი ზოლი მადნისა.

— როგორ გგონიათ, რა უნდა იყოს? ჰკითხა მაშინ მღვდელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირეებმა მოამტვრიეს ქვა და მოჰყვენ კბილებით გასინჯვას.

— ან ტყვია უნდა იყოს და ან თუთია, თქვეს მათ.

— უსათუოდ მთაში ბევრი იქნება, დაუმატა მღვდელმა.

მთხრობელმა—მღვდელმა რომ ეს სიტყვა თქვა, მეფემ საკარძლიდან ცოტა წამოიწია და ერთი თვალი აახილა.

— იმ კაცებს გაეგებოდათ რამე მადნებისა? ჰკითხა მეფემ.

— არა, არაფერი გაეგებოდათ.

მეფემ თავი ისევ ძირს დაუშვა და თვალები დახუჭა.

„მღვდელსაც და სხვა მონადირეებსაც ძალიან გაეხარდათ, განაგრძო მთხრობელმა და მეფის უყურადღებობა არაფრად მიიჩნია,—ამისთანა მოულოდნელი სიმდიდრე არა თუ მათ ეყოფოდა—მათ შვილი-შვილებსაც გასწვდებოდა.

„მე აღარ მომინდება მუშაობა, სთქვა ერთმა მათგანმა. მთელი კვირა განცხრომაში ვიქნები და კვირაობით ოქროს ეტლით წირვაზე ვივლი!

„ეს ხალხი ყოველთვის რიგიანი იყო, მაგრამ ამ მოულოდნელმა ბედნიერებამ სულ გადარია, ბავშათ აქცია. ამათ იმდენი კი მოიფიქრეს რომ ადგილი საჩქაროთ მიმალეს, რომ სხვებს არ მიეგნოთ.

„გამოთხოვების დროს პირობა დასდეს, რომ მღვდელი წავა მახლობელ ქალაქში, ინახულებს მადნების მწარმოებელ უფროსს შესატყობლათ თუ რა მადანია, ან როგორ უნდა აწარმოვონ და საჩქაროთ უკანვე დაბრუნდება. სანამ კი ფიცი დასდეს, რომ არავის არც ეტყვიან და არც ადგილს უჩვენებენ.

მეფემ სულ ახლათ ცოტათი აიწია თავი, მაგრამ არა თქვა-რა. ეტყობოდა რომ გულის ყური აქეთ ჰქონდა და საყურადღებო რამეს მოელოდა.

„მღვდელმა ჯიბეში ჩაიდო მადნის ნიმუშები და გაუდგა გზას. ის თავის თავს ბედნიერათა სთვლიდა, ოცნებობდა როგორ გააკეთებდა ახალ საეკლესიო სახლს, ძველის მაგივრათ, რომელიც მიეგვანებოდა ნამდვილ გლეხის ქოხს და როგორ შეირთავდა ცოლათ მთავარ-მღვდლის ქალს, რომელიც დიდი ხანია უყვარდა და სიღარიბის გამო ვერ ამხელდა.

„ორი დღე მოუნდა გზას. ბოლოს შევიდა ქალაქში, იქაც მოუხდა მოცდა, რადგან მადნების მწარმოებელი უფროსი სხვა-

გან იყო წასული. ბოლოს ნახა ის კაცი და უჩვენა მადნის ნატეხები. ის დიდი ყურადღებით დააცქერდა მადანს. მერე შეხედა მღვდელს, რომელიც უამბობდა რომ თავიანთ ტყეში იპოვეს და ისე ჰგონიათ რომ ტყვია უნდა იყოს.

— არა, ეს ტყვია არ არის, უთხრა მადნების მწარმოებლის უფროსმა.

— იქნება თუთიაა? დაეკითხა მღვდელი.

— არა, არც თუთიაა!

„მღვდლის გულის გამხარებელი ოცნებები ქარივით გაიფანტენ და მან საშინელი მწუხარება იგრძნო.

— ამიისთანა ქვების ნატეხები ბევრია თქვენ სამრევლოში? ჰკითხა მადნების მწარმოებელმა.

— მთელი მთაა! - უპასუხა მან.

— მადნების მწარმოებელი მიუახლოვდა მღვდელს, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— აბა, ეს ისე უნდა მოიხმაროთ, რომ თქვენც ისარგებლოთ და სახელმწიფოც ასარგებლოთ, ეს ნამდვილი ვერცხლია.

— „ვერცხლი? გაკვირვებით და განმეორებით ჰკითხა მღვდელმა და შეკრთდა: ნუ თუ მართლა ეს ვერცხლია?

„მადნების მწარმოებელმა დარიგება მისცა მღვდელს, რომ მადნის წარმოებისთვის როგორ უნდა მიიღოს კანონიერი უფლება. კიდევ ბევრი სასარგებლო რჩევა მისცა, მაგრამ მღვდელს სიხარულით ისე თავ-ბრუ ესხმოდა, რომ ვერა გაიგო-რა. ის სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მათ ღარიბ სამრევლოში თურმე მთელი მთა ვერცხლის მაღნისა ყოფილა.

მეფე წელში გასწორდა, თავი მაღლა აიღო და თქვა:

— უსათუოდ, როდესაც მღვდელი დაბრუნდებოდა და დაიწყობდენ მადნის ძებნას, აღმოჩნდებოდა რომ მადნების მწარმოებელს მხოლოდ უხუმრია.

— არა, იმას სულაც არ უხუმრია. უპასუხა მთხრობელმა — მღვდელმა.

— მაშ განაგრძე შენი ლაპარაკი, უთხრა მეფემ და გასწორდა სავარძელში, რომ კვლავ მოესმინა.

ან. წერეთლისა.

(შემდეგი იქნება.)

როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან.



ყოველ ცხოველს დიდია იგი თუ პატარა, ოთხფეხია იგი თუ ორფეხი, ფრინველია თუ მგლინავი თავისი მტერი ჰყავს. ამიტომ ბუნებას მათთვის მიუცია სხვა-და-სხვა მოწყობილება ანუ იარაღი, რომლის საშვალებითაც მათ შეუძლიანთ თავიანთი არსებობის დაცვა. უმეტესი ნაწილი ცხოველებისა მტერს გაუსხლტება გაქცევით; ირემი მაგალითად ისე მარდათ გარბის, რომ იშვიათ მხეცს შეუძლია იმის დადევნება და დაჭერა. წარმოვიდგინოთ აგერ დაბურულ ტყის შუაგულში პატარა



მინდორზედ ირემთა ოჯახობა თავისუფლათ საძოვრათ გამოსულა. ჩვილი ურქო ირემი არხეინათ აქა-იქ დასეირნობს, ხვადი ირემი თავისი დიდროვანი და მშვენიერი ღრჯიანი რქე-

ბით ტყე-ბუჩქნარის პირას სდგას, ისიც ბალახს შეექცევა, მაგრამ ხშირად თავს მაღლა წამოსწევს და აქა-იქ იცქირება, ყურს უგდებს ტყის ყოველივე ხმაურობას, რომ არაფერი ხიფთი არ შეემთხვას, ლეკრად მტერი თავს არ დაეცეს. ვნახოთ ტყიდან რაღაც ჩქამი-ჩქუმი მოესმა, იგი იმ წამსვე ველზედ გამოვარდა, ფური ირემიც ერთ წამს აქ გაჩნდა, დამფრთხალმა პატარა ნუკრმა დედას მიაშურა, სამნივ თავზარდაცემულნი სმენათ გადაიქცევ და იცქირებიან იქით, საიდანაც ხმაურობა გაისმა. უცებ ტყიდან რაღაც ნადირი გამოვარდა, ირმებმა მარდათ მოჰკურცხლეს, წინ ხვადი ირემი მირბის თავისი ღრჯიანი რქებით და გულ-მკერდით არღვევს და ამტრევს ნარეკალს და უკაფავს გზას თავის ოჯახობას, აგერ სამშვიდობოსაც გავიდნენ და მტრის ბრჭყალებს გადურჩენ. რამ უშველა ამ შემთხვევაში ირემს, თუ არა მარდმა და ღონიერმა ფეხებმა. კურდღელი გაიგებს თუ არა მელას მოახლოვებას, ან დაინახავს თუ არა სხვა რომელიმე მტერს იმ წამსვე მოჰკურცხლავს, ისეთ დიდ ნახტომებს გააკეთებს, რომ თვალსაც-კი ვერ მოჰკრავს კაცი; არიან ისეთი ცხოველები, რომელთაც 4—5 საჟენის მანძილზედ შეუძლიან გადახტომა, ასეთია მაგ. ერთი ცხოველი, რომელსაც „კენგურუ“ ჰქვიან და რომელიც ავსტრალიაში ცხოვრობს, ამ შემთხვევაში მათ ხელს უწყობს უკანა გრძელი და ღონიერი ფეხები. ამგვარადვე გაურბის მტერს ფრინველი თავისი გრძელი და ღონიერი ფრთების შემწეობით და თევზი თავისი საცურავი იარაღით.

ბევრია ისეთი ცხოველებიც, რომელთაც ჩქარი სირბილი ანუ ცურვა-ფრენა არ ეხერხებათ, მაგრამ იგინი სხვა საშვალებას ხმარობენ მტრისაგან თავის დასაღწევად, აქაც რასაკვირველია მათ ხელს უწყობს მათივე სხეულის ბუნებრივი მოწყობილობა. თქვენ უეჭველად გინახიათ ზღარბი, ეს პატარა ოთხფეხი, რომელიც უმეტეს წილად მწერებით იკვებება, ტანი ზღარ-

ბისა დაფარულია მაგარი მწვეტიანი ბურძგებით, როცა ზღარბს რაიმე შიში მოელის, მაგალითად, თუ ძაღლმა ან მელამ სად-



მე მოასწრო იგი იმ წამსვე გაეხვევა თავის ბურძგებში, ასე რომ იმის ტანის არავითარი ნაწილი არ მოსჩანს, ასეთი ფარის პატრონ ცხოველს მტერი ბევრს ვერაფერს დააკლებს, პირიქით თვითონ დაშავდება თუ ამ მწვეტიან ბურძგებით დაფარულ გორგალს შეეხო. ამგვარი დამცველი იარაღის პატრონია მეორე ზღარბის მზგავსი ძუძუმწოვარი ცხოველი, რომელსაც სახელად მაჩვ-ზღარბი ჰქვია; ამ ცხოველს შეხვდებით შუაგულ აზიაში და სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის პირად, იგი ზღარბზე ბევრად დიდია, ბუნაგს ქვიშიან სოროებში იკეთებს, იკვებება სხვა და სხვა ბოლქვეულ ძირებით; მისი სხეულის ზემო და გვერდების ნაწილი გრძელი მწვეტიანი ეკლებით არის დაფარული, ამ ეკლებს კალმის ტარებათაც აკეთებენ. როცა მოახლოვებულ მტერს ხედავს მაჩვ-ზღარბი ბურძგებს ყალყზედ დააყენებს, მოაღებიებს მათ წკარუნს და ისეთ საშიშარ სახეს მიიღებს, რომ დამფრთხალი მტერი მას ვერც-კი შეხედავს. მაგრამ თუ ამგვარის ოინით ვერა რას გახდა, მაშინ ზღარბივით მოიკუნტება და მოქიშპეს მარტოკა მწვეტიან ნემსებს შესთავაზებს. კუ თავის დასაცავათ სარგებლობს სქელი ბაკანით, რომელიც მის ფართე ზურგსა და



პრტყელ გულს გარშემო ჯავშანივით აკრავს. ბაკანი წარმოგვიდგენს რქასებრივ რამ ტყავკეცს, რომელიც იმოდენათ მაგარია, რომ ადამიანს შეუძლია კუს ზურგზედ შეადგეს და არავითარი ვნება არ მიაყენოს. გაჭირვების დროს კუ თავის მაგარ საბურავში 'მეიმალვის, შეიკუმშება, თავ-კუდს და ოთხივე ფეხებს და ისე გდია გაუნძრევლად, ვიდრე ხიფათს არ ასცდება. კუ სხვა ცხოველებთან შედარებით ერთობ მეტად გამძლე და ამტანია, ცნობილი ბუნების მეტყველი ბრემი მოგვითხრობს, რომ პარიჟის ზოოლოგიურ ბაღში ცხოვრობდა ერთი კუ, რომელსაც მთელი ექვსი წლის განმავლობაში არაფერი საჭმელი არ მიუღიაო; იგივე ბრემი გვიამბობს, რომ კუს თავის ქალადან ტვინი ამოვაცალოთ ექვს თვეს კიდევ შეიძლებს სიარულსო, ხოლო თავმოჭრილ კუს გულისცემა ორ კვირას არ შეუწყდებაო. მართლა საკვირველი რამ ცხოველი ყოფილა კუ.



სამხრეთ ამერიკის ველ-მინდვრებში ცხოვრობენ პატარა ცხოველები, რომელთაც მატაკო ანუ ჯავშნოსანი ჰქვიანთ. პატარაობისას ეს ცხოველნი დედის ძუძუთი იკვებებიან, მათ ბალნიან სხეულის ზემოთ წამოსხმული აქვსთ რქასავით მაგარი საფარი, რომელიც შესდგება ზურგის გარდიგარდმო მდებარე

ბატარა, მაგრამ მოძრავი ნაჭრებისაგან, ფარის ასეთი მოწყობილობა ცხოველის მიხრა-მოხვრას არა რას უშლის, პირიქით შეუძლიანთ საჭიროების დროს მურგვსავით დაეხვიოს, სწორედ იმ წესით, როგორც ზღარბები იქცევიან. თუ მოკუნტვა მოასწრო, ჯავშნოსანი მტერს აღარ შეუშინდება, რამდენიც არ აგოროს და ატრიალოს, მურგვს ვერ გახსნის, მართლაც და ამისსთვის საკმაო ძალ-ღონეც არის საჭირო, ამიტომ როცა მონადირეთ მატაკოს მოკვლა სწადიათ მაღლა ასწევენ ხოლმე და რაც ძალი და ღონე შესწევთ ისე დაახლიან ზედ. ჯავშნოსნები ნორჩი მკენარეებით იკვებებიან, მაგრამ ხან მწერჭიებითაც-კი ჩაიტკბილებენ პირს.



არიან ისეთი ცხოველებიც, რომელთაც თუმცა არც ჯავშანი აქვს, არც ბურძგები და არც ფეხების სიმარდე შესწევთ, მაგრამ სამაგიეროთ მათთვის ბუნებას სხვანაირი იარაღი მიუცია, რომლითაც საკვირვლად იგერებენ თავიანთ მტერ-მოძულეთ. ამერიკაში, აფრიკაში და აზიის ცხელ-კუნძულებზედ შეხვდებით ერთს ქრცვინის მაგვარ მოდგმის ცხოველს. ეს ბატარა ონავარი როცა მოახლოვებულ მტერს ამჩნევს, სრულიადაც არ ცდილობს გაქცევას, პირიქით ნელ-ნელა ზლაზვნით წინ გაუძღვება და ისეთ საძაგელ მყრალ სითხეს მიასხამს, რომ იშვიათ ცხოველს შეუძლია გამაგრდეს. დავლის დევნას საჩქაროდ თავს ანებებს და ცდილობს კიდეც, რაც შეიძლება ადრე გაშორდეს ამ მყრალ სუნს. ამ ცხოველს მყრალ-მყრალას ეძახიან. ამათ გვარში ყველაზედ უფრო შესამჩნევია ამერიკელი მყრალ-მყრალა, რომელსაც სახელად სკუნს უწოდებენ. სკუნსი ტანად კატაზედ ცოტათი დიდია, მხოლოდ თათები უფრო მოკლე აქვს, არც კბილები და არც ბრჭყალები გაჭირვებაში მას არ შველის. თუ ამ ცხოველს ვინმე მიუახლოვდა, იგი მაშინვე მას ზურგს შეაქცევს, ასწევს ხოლმე კუდს და შადრევანივით შეუშხაპუნებს თავის დასაცველ მყრალ-მყრალ და მოყვითლო ზეთისებრივ სითხეს, ამ სითხეს სკუნსი ინახავს ერთნაირ პარკებში რომელნიც მოთავსებულებია უკა-

ნა ტანის მახლობლათ, როგორც მოგზაურნი მოგვითხრობენ ეს სუნი ისეთი მძიმე ყოფილა, რომ ადამიანს მის ზედგავლენით

მ ყ რ ა ლ - მ ყ რ ა ლ ა.

ხშირად გრძნობა ეკარგვის; ერთხელ ერთ მოგზაურს მყრალ-მყრალა შეხვედრია, როცა მიახლოვებია მას ღრინვა და ფეხების ბაკუნი დაუწყვია, მგზავრს ჯოხი უტყორცხნია, მხეცს იმ წამსვე მყრალი სითხე მიუსხამს, მოთმინებიდან გამოსულ მგზავრს მოუკლავს ეს საზიზღარი ცხოველი, მაგრამ დახე მის უბედურებას, როცა შინ დაბრუნდა სახლში აღარ შეუშვეს ისეთი მყრალი სუნი ასდიოდა; ვერც წყლით და საპნით დაბანამ, ვერც ოდეკალონმა სუნი მას ვერ გამოაცალეს, შემდგომ საწყალ მოგზაურს ტანთსაცმელი გამოუცვალეს, რამდენიმე საათის განმავლობაში ბოლი ახრჩოლებიეს და ამ წესით როგორც იყო მოაშორეს ეს საოცარი სუნი.

თბილ ქვეყნებში თითქმის ყველგან შეხვდებით მრავალ გვარ მგლინავ ცხოველებს, მათ შორის ჩვენ აქ აღვნიშნავთ ანკარას, რომელიც გარეგნობით თუმცა ბევრად წააგავს გველს, მაგრამ მასავით შხამიანი და მავნებელი არ არის. დედა-მიწაზედ თითქმის ათასი ჯიშის ანკარას აღრიცხავენ; ზოგი მათგანი წყალში ცხოვრობს, ზოგს-კი სველი ადგილი უყვარს, ზოგიც მშრალ ადგილებში ბინადრობს. ხშირათ ანკარა საცხოვრებლათ ადამიანის სახლსაც ირჩევს. ბევრი ტყულა-უბრალოდ სდევნის ხოლმე ამ უწყინარ ცხოველს, ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად მალოროსიაში და ჩვენშიაც ანკარას მოკვლა დიდ ცოდვათ მიაჩნიათ. თუ სახლში ნახეს ანკარა მას ბედნიერების მო-

მასწავლებლად სთვლიან. როცა მოახლოვებულ მტერს დაინახავს ანკარა გაგცევას და დამალვას დააპირებს და თუ ეს ვერ მოასწრო თავის დასაცავად მოემზადება, დაიწყებს სისინს და თუ გაუჭირდა კბილებსაც-კი იხმარს, მაგრამ თუ რომელიმე მტერმა ანკარას პირი წაავლო, იგი საშინლათ იბრძვის, იკლაკნება და ამ დროს ისეთ მყრალ განავალს მიასხამს ხოლმე თავის მტერს მაგალითად ამა თუ იმ ფრინველს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული ხდება მაშინვე ნისკარტიდან გაუშვას.

მწერებშიაც არიან ბევრნი, რომელნიც ამნაირივე საძაგელი ნივთიერების საშუალებით იცავენ მტრისაგან თავიანთ არსებობას. ასეთია მაგალითად ბაღლინჯო, თუ მას შემთხვევით ფრინველმა ნისკარტი ჩაჰკრა, ცდილობს რაც შეიძლება მალე გამოაფურთხოს.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფეხმალობა ერთი უმთავრესი საშვალებათაგანია, რომლის შემწეობითაც ესა თუ ის პირუტყვი გაურბის თავის მტერსა, მაგრამ ხშირად ონავარი მხეცი თავის მსხვერპლს დაუდარაჯებს და მოულოდნელათ თავს დაეცემა, ამ შემთხვევაში ფეხმალობით შორს ვერ წახვალ, აქ სხვა რამ ღონეა მოსაფიქრი, ერთი ამ ღონე-საშვალებათაგანი ჩვენ უკვე დავასახელეთ, მაგრამ უხვ ბუნებას ცხოველთათვის კიდევ ბევრი რამ საკვირველი მოართულობა მიუცია მტერთან საბრძოლველათ და მისგან თავის დასაღწევათ, ავიღოთ მაგალითად ხვლიკი, როცა ეს მგლინავი მაზედ დაგელჩებულ მტერს ხედავს, მაგ. ფრინველს, კატას, გველს და სხვათა, სწრაფად გაიქცევა და ყოველივე ღონეს ღონობს მტერს მოშორდეს, მაგრამ ხშირად სიმარდეში მას მტერი აჯობებს, უკან წამოეწევა და მის გრძელ კუდის ბოლოზედ პირს ანუ კლანჭებს მოავლებს, თავზარდაცემული ხვლიკი თავის საშველათ უკიდურესს საშვალებას ხმაროობს, იმ წამსვე მტერს პირში თავის კუდს შეატოვებს და თვითონ-კი დაკუდნული სამშვიდობო ნავთსაყუდელს მიაშურებს. ამგვარათ ხვლიკი სიკვდილს გადაურჩა, თუმცა კუდი-კი შესწირა, მაგრამ ეს დანაკლისი ხვლიკს არაფრათ აწუხებს, რადგანაც კარგათ იცის, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, მას ახალი კუდი გაეზრდება, რომელიც შემთხვევის დროს კიდევ იხსნის განსაცდელისაგან. წინეთ ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდენ, რომ ხვლიკს კუდის მოგლეჯა და მოშორება თავის ნება-სურვილზედ შეუძლიაო, ყოველთვის როცა ხიფათი რამ მოელისო, მაგრამ როცა ხვლიკის ცხოვრებას და ტანის აგებულობას კარგათ გაეცვნენ, დარწმუნდნენ, რომ ეს „თავის დასახიჩრება“ ერთი რამ სასარგებლო მოწყობილობა ყოფილა, რომლითაც იგი ბუნებას დაუჯილდოვებია მტრისგან სიცოცხლის დასაცველათ, ხოლო ის მართალია, რომ ამ მოვლენას (კუდის მოძრობას) ცხოველის ნება-სურვილთან არავითარი დამოკიდებულობა არა აქვს. ამაში ჩვენ ადვილათ შეგვიძლიან დავრწმუნდეთ. დაიჭირეთ ხვლიკი და კუდზედ ხელი მაგრათ მოუჭირეთ, კუდი მაშინვე ხელში შეგრჩებათ, იგი დიდხანს ჭიაყელასავით კლაკვნას მოჰყვება. თითქმის ყველა ხვლიკს კუდი ერთსა და იმავე ალაგას ეგლიჯება, მონაგლეჯი ალაგის ზედა პირი სწორია და არც სისხლი გამოსწვეთს. როგორც სხვა ხერხემლიან ცხოველების, ისე ხვლიკის კუდი შესდგება მრავალი ერთი მეორეზედ შეზვინული ძვლებისაგან, ხერხემლისაგან. კარგათ რომ დავუკვირდეთ ამ ხერხემლებს დავინახავთ, რომ ყოველთვის შუაზედ ტყდება ერთი და იგივე გარდაკვეთილი ხერხემალი, ასე რომ ერთი მისი ნახევარი ტანისაკენ რჩება, ხოლო მეორე მიჰყვება მოშორებულ კუდს. მოვაბათ ფრთხილათ ხვლიკს კუდზედ თოკი და თავდაყირა ჩამოვკიდოთ, იგი დაიწყებს ფორთხალს, კლაკვნას, რომ რაიმე გზით თავი გაინთავისუფლოს, მაგრამ ამაოდ, კუდი არ მოსწყდება, სჩანს, რომ თავის ნებაზედ მას კუდის მოშორება არ შეუძლია; საკმარისია, კუდის ბოლოზედ ჩქმეტა ან ჩხვლეტა, რომ კუდი იმ წამსვე მოძვრეს და ხვლიკი თავისუფალი გახდეს. სჩანს, რომ კუდის მოშორება ტკივილების შედეგი მოვლენა ყოფილა, თუ ხვლიკმა ტკივილი არ იგრძნო, რამდენიც არ იბრძოლოს თავის ნებაზედ კუდს ვერ მოიგლეჯს. ერთმა სწავლულმა ხვლიკს კუდზედ მიაბა წვრილი ზონარი სწორედ იმ ალაგის ზემოთ, სადაც ჩვეულებრივ კუდი სწყდება; როცა გაუშვა ხვლიკი ბევრს ეცადა ტყვეობიდან თავის დახწევას, მაგრამ წადილს ვერ მიაღწია, ბოლოს სწავლულმა კუდის წვერზედ ძალზედ უჩხვლიტა, კუდი იმ წამსვე მოჭირებული ზონარის უკან მოძვრა და ამ გვარათ საწყალმა ცხოველმა, თუმცა კუდი შესწირა, მაგრამ თავისუფლება მაინც დაიბრუნა. ასეთ სასარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლო მოწყობილების მტრისგან თავის დასაცავათ მეცნიერებაში „თავის დასახიჩრებას“ უწოდებენ.

ბევრი სხვა ცხოველებიც ამ გვარივე საშვალებით თავის დასახიჩრებით, შველიან ხოლმე თავის თავის დაცვას გასაჭირის დროს, ასეთებია მაგალითად ზღვის კიბოები, კიბორჩხალები — და ობობები. კიბოს რომ მარტო წინა ორთითა ფეხებზედ ხელი მაგრათ წაუჭირო — იმ წამსვე ორივე ფეხებს ხელში შეგატოვებს, სხვა ფეხებიც ადვილათ სწყდებათ კიბოებს, მაგრამ მოგლეჯილი ფეხების სანაცვლოდ მალე სხვა ეზრდებათ. არის ისეთი ცხოველიც, რომელიც მტრის ხელში ჩავარდნას და ტყვეობაში ყოფნას თავის მოკვლას ამჯობინებს, ამ გვარია მორიელი, რომელიც ეკუთვნის კიბოს მსგავს ცხოველთა მოდგმას. მორიელის დანახვა ადამიანს რაღაც შიშსა და ჟრუანტელს აღუძრავს, ეს ამიტომ, რომ მორიელი შხამიანი ცხოველია. იმის ნაკბენი პატარა ცხოველთათვის მომაკვდინებელია, ხოლო ზოგიერთა ჯიშის მორიელის ნაკბენი ადამიანი ხშირად მძიმე ავად ხდება და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება კიდევაც მოკვდეს. არც გარეგნობით არის სასიამოვნო მორიელის დანახვა.

მისი ოთხკუთხედი სხეული რომელიც დაფარულია პაწაწა ბოცვებით და ჯაგარით, წარმოგვიდგენს ერთად შემყნილ თავ-მკერდსა და მუცელს, მუცელი შესდგება ექვსი გრგოლის მინაგვარი ნაწილებისაგან, უკანასკნელი გრგოლი თავდება მწვეტიანი ისრით (საჩხვლეტელით), ოთხი წყვილი ფეხები მთლათ ჩვეულებრივ ობობას ფეხებს წააგავს. ორი დიდრონი წინა ფეხები კიბორჩხალის თათებსა ჰგავს, იმისავით ორპოტიკაა. მორიელი შესამჩნევათ ჩქარა დაფორთხავს, კუდი ზურგისკენ აქვს გადმოზნექილი, ასე რომ თავისი საშიშარი იარაღი მომზადებული აქვს. სირბილის დროს ყველაფერს ათვალიერებს თავის გამჭრიახი თვალებით; მორიელს თორმეტი თვალი აქვს, ორი ამათგანი თავ-მკერდის ზემოთ არის, ხოლო ხუთ-ხუთი-კი გვერდებზედ. მორიელი მეტად ბოროტი, მამაცი და შეუპოვარი ცხოველია; ბრაზ-მორეული იგი არაფერს არ შეუდრკება და მარდათ თავს ეცემა ყველა მოახლოებულ არსებას, რაც უნდა დიდი ცხოველი იყოს, ადამიანსაც არ შეუშინდება ხოლმე. ყველა ამის მიუხედავათ მორიელი სა-

კვირველ მზრუნველობას იჩენს თავის შვილების მოვლაში. დედა მორიელი ერთ წამსაც არ მოშორდება თავის შვილებს, განსაცდელის დროს იმათ თავზედ გადაეფარება; როცა პატარა მორიელები წამოიზრდებიან, დედას მარტოდ სტოვებენ; შვილების მოშორება მორიელს ძლიერ ანაღვლიანებს, იგი თითქმის არაფერს სჭამს, ადრე მჭლევდება და ბოლოს კვდება. ხედავთ ამ ბოროტსა და ონავარ არსებასაც ჰქონია დედობრივი სიყვარულის გრძნობანი.

ცოტა არ იყოს ჩვენ საუბარს გადავსცდით. როგორც ზემოთ ვსთქვით მორიელი ტყეობაში ყოფნას სიკვდილს ამჯობინებს, ამის შესახებ ფრიად საყურადღებო ამბავს მოგვითხრობენ. თურმე ერთმა სწავლულმა ბუნების-მეტყველმა მორიელი დაიჭირა და მინის ქილაში დაამწყვდია; დატყვეებული ცხოველი ბევრი ეცადა თავის დაღწევას, მაგრამ ვერას გზით ვერა მოახერხა-რა. შემდგომ სწავლულს ქილისათვის ძლიერი სინათლის წყარო მიუახლოვებია, რადგანაც გაგონილი ჰქონდა, რომ მორიელი ძლიერი სითბო-სინათლის ზედგავლენით თავს იკლავსო. მართლაც, მორიელს ქილაში სირბილი დაუწყია, გაბრაზებული ქილის ხან ერთ მხარეს სცემია და ხან მეორეს, როცა ვერაფერს გამხდარა, უკრავს ზურგში თავისივე შხამიანი ისარი და რამდენიმე წუთის შემდგომ სული განუტევებია.

ასეთია ზნე-ხასიათი მორიელისა. აი სადამდის მიიყვანს ცხოველსაც-კი ტანჯვა-წვალება და ბრძოლა თავის არსებობის დასაცველათ; მეცნიერები საზოგადოთ იმ აზრისა არიან, რომ შხამი რომელიმე ცხოველისა თვითონ მაზედ არ მოქმედობს, უვნებელია, ხოლო თავის მკვლელი მორიელის მაგალითი ამ შემთხვევაში ჭეშმარიტად საგულისხმიერო გამოცანად უნდა ჩაითვალოს, ასეთ შემთხვევას ჩვენ სხვა ცხოველებში ვერა ვხედავთ.

ი. თ — ძე.

(შემდეგი იქნება)

ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი.

ვაჭრები



უცხო სტუმრები

ოდესაც არაბთა იმპერია აყვავებული იყო, იმ დროს ევროპიელთა ქვეყნების ცხოვრება მიყრუებულათ და დაღვრემილათ მიმდინარეობდა.

ეს ხალხი დაუბოლოვებელ ჩხუბში და ვაი-ვაგლახში ჩავარდა: ოდეს რომაელთა მშვენიერი ქალაქები მიწასთან გასწორდენ, სავაჭრო გზები ბალახმა გადალახა და მიწის მუშები მუდამ შიშში იყვნენ, რომ აი ახლა, ან აი ახლა მტერი დაგვეცემაო, ისინი სტოვებდენ ნახევრათ შეუმუშავებელ მიწებს. მაშინ ევროპა განიცდიდა ცუდ დროს, თავი და ბოლო არა ჩნდა, ყველა მუშტზე იყურებოდა. ეს ისეთი ხანა იყო, როდესაც ყოველ მიწათ-მფლობელ რაინდს თავისი თავი ხელმწიფეთ მიაჩნდა თავის მიწა-წყალში.

ყოველი ამგვარი რაინდი ცხოვრობდა კარ-ჩაკეტილი, თავისი საკუთარი ცხოვრებით. მათ ჰყვანდათ სამყოფათ თავიანთი საკუთარი მუშები პურის მომყვანი, ხელოსნობაში გამოცდილნი და სხვა. ამათ ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ, რაც კი ესაჭიროებოდათ, როგორათაც რაინდის სასახლეს, ისეც მახლობელ სოფლებს. ამ მახლობელ სოფლების ხალხი მუდამ მძიმე მუშაობაში იყვნენ, მაგრამ მათი ნამუშავარი კი არ გადიოდა ბაზარში გასასყიდათ, არამედ მხოლოთ კოშკ-დარბაზების მცხოვრებლებს უნდებოდათ; თუ რამე საზრდო გადარჩებოდათ —ინახავდენ თავიანთ ბატონ—რაინდის სარდაფებში და საკუჭნაოებში. ამ გვარ წარმოების დროს რა აღებ-მიცემობა იქნებოდა?

მაგრამ, თუმცა იშვიათად, ამ მოღუშულ კოშკ—დარბაზებს ესტუმრებოდენ ხოლმე გამვლელი ვაჭრები. ესენი იყვნენ

უცხოელნი, შორი ზღვიდან მოსულნი, გზათ მიდიოდენ თავიანთი სავაჭროებით სადმე დიდ დღესასწაულზე. მაგალითად, როდესაც რომელიმე სახელმწიფოში თავადების ყრილობა იქნებოდა, ან დაგვირგვინება რომელიმე ხელმწიფისა. მაშინ გამოჩნდებოდენ ყოველ მხრიდან მდიდარი ვაჭრები იმ იმედით, რომ სავაჭროს კაი ფასათ გაასაღებდენ. ესენი გზათ შეივლიდენ ხოლმე რომელიმე ციხე-დარბაზში.

ამ გვარ სტუმრებს ციხე-დარბაზში დიდის სიამოვნებით ღებულობდენ. ამისთანა მოწყენილ, მიყრუებულ ადგილას ვაჭრებს დიდ გამრთობლათ სთვლიდენ. — რომელიმე ვაჭართაგანი მოუყვებოდა ახალ და უცნაურ ამბების თხრობას. აღტაცებულ მსმენელებს ერთი სიტყვაც არ გამოეპარებოდათ, ისე გაფაციცებით უგდებდენ ყურს. მაგრამ ციხე-დარბაზის ქალების ყურადღებას იზიდავდა უფრო სტუმარი ვაჭრის ყოველ გვარი საოცარი ნივთებით დატვირთული სკივრები. მოლუშული ციხე-დარბაზი თითქოს ვაცოცხლდებოდა, როდესაც ვაჭარი დაიწყებდა თავის სავაჭროების ვადმოლაგებას: ღია ფერის აბრეშუმეულობას, წმინდა ქსოვილებს და ხალიჩებს, მეტათ ხელოვნურათ გაკეთებულს სხვა და სხვა იარაღებს, ფაიფურის ჭურჭელს ემალით და ვარაყით მორთულს, მშვენიერ ყელსაბამს, საოცარ ხელოვნების სამაჯურებს და ბეჭდებს, ნაირ-ნაირ ძვირფასს ქვებს და მარგალიტს, სურნელოვან წყლებს, ბალახის ძირებს წამლისთვის გამოსაყენებელს და რაკ უფრო უყვარდათ საშუალო საუკუნეში — ტკბილეულობას. აღტაცებულ ბარონების ოჯახებს და მათ კარის კაცებს თითქოს თვალ-წინ ეშლებოდათ საზღაპრო აღმოსავლეთი. ვაჭარი აათამაშებდა ხოლმე ათასფეროვან ძვირფას ქვებს და უამბობდა სხვა ქვეყნებში გაგონილ მრძენი ხალხისაგან ნათქვამს — თუ ამ ქვებს რა ძალა აქვთ. აი ეს ძვირფასი თვალი ტოპაზიონი კაცს ცეცხლისაგან დაიფარავს, ეს მეორე ძვირფასი თვალი ამეტისი შორს მხედველობას და ყოველ ბრძოლაში გამარჯვებას მისცემს.

ვაჭარი ოქრო-ვერცხლის ზოდებში აძლევდა ციხე-დარბაზის პატრონს, რომელიმე მისგან მოწონებულ წვრილმანს. კარგა დიდხანს გაისმოდა ხოლმე ლაპარაკი ციხე-დარბაზში უცხო სტუმარზე და მის საოცარ სავაჭროზე.

თავდაპირველათ ამ გვარ ვაჭრობას მისდევდენ უმეტესათ ურიები, სანამ არ გამოჩნდენ სხვა ვაჭრებიც. ესენი ყველგან თავადებში და ბარონთა შორის კარგათ იყვნენ მიღებულნი და ყველა პატივით ეპყრობოდა მათ.

თან და თან ევროპიელების ქვეყნების მკვიდრთა შორისაც გამოჩნდენ ვაჭრები. პირველათ იჩინეს თავი მონასტრებმა, მათ შუა საუკუნოებში შემოჰქონდათ ყოველ გვარი კოდნა, ოჯახური განვითარება და გამჭრიახობა. . იმ უბედურ ხანაში, როდესაც ყველგან ხალხი მიძინებული იყო—მონოზან-ბერები თავიანთ მონასტრებში თავდადებით მშვიდ შრომას ეწეოდენ; ცდილობდენ მიწები შეემუშავებინათ ახალი წესით და თავიანთი დაუღალავი მეცადინეობით დიდი განვითარება მისცეს ხელოვნებას და მწერლობას.

მათ კარ-მიდამოში ღვთის თვალი ტრიალებდა. თავდაპირველათვე ამ ღვთის კაცებმა, გაფანტულებმა სხვა და სხვა ქვეყნებში, ატლანტიიდან მოყოლებული მკაცრ ქვეყანა ფრიზოვამდის, დაიწყეს ერთმანერთ შორის თავიანთი მდიდარი ნაწარმოებით აღებ-მიცემობა. ამ საქმისთვის ძმობა არჩევდა ცხოვრებაში გამოცდილ რომელიმე კაცს და აბარებდა ნაწარმოებს, რაც მონასტერს გადარჩებოდა და ამის სამაგიეროთ უცხო მხრიდან უნდა მოეტანა მონასტრისთვის, რაც საჭირო იყო.

მეათე საუკუნეში ზოგიერთ მდიდარ მებატონე ბარონებმაც დაიწყეს მოხერხებული და გამჭრიახი ნაყმევების გაგზავნა სხვა ქვეყნებში, რომ ზედმეტი საქონელი წაეღოთ და გამოეცვალათ სხვა ამათთვის საჭირო ნაწარმოებზე. ამ დროიდან ევროპაში გაცხოვლდა აღებ-მიცემობა,—ვაჭრობა. უშიშარ და მარჯვე ადგილებში, კარგა დაცულ მონასტრის მფარველობის ქვეშ, ან მებატონის ციხე-დარბაზში იმართებოდა მუდმივი ბაზრობა, სადაც საღდებოდა როგორც სოფლის, ისე ხელოსნების ნაწარმოებიც. თვით თავადებისთვის, ციხის-მფლობელებისთვის ეს ბაზარი ძალიან ხელ-საყრელი იყო, რადგან ვაჭრებს ახდევინებდენ ბინის ქირას. ამიტომაც ყველა ცდილობდა სხვა და სხვა შელავათებით თავის ბაზარში მიეყვანა ახალ-ახალი ვაჭრები.

ასე თავადების, მებატონის ციხე-დარბაზის მახლობლათ და მისი მფარველობით სახლდებოდენ, ბინას იკიდებდენ სხვა

და სხვა შინაური და გარეული ვაჭრები. აქვე სახლდებოდა ხელოსანი, რომელიც ბატონს უხდიდა ბეგარას თავის ამონაგებიდან. მის გვერდითვე ბინავდებოდა ვინმე ვაჭარი იმ იმედით, რომ ამ მხარეში ყოველთვის ექნებოდა ვაჭრობა.

ევროპიელ ქვეყნებში თან და თან მატულობდა ამ გვარი სავაჭრო დაბები. მიყრუებული, მიგდებული ქალაქები ცოცხლდებოდენ და დიდ სავაჭრო გზებზე სწრაფლათ მრავლდებოდენ ახალ-ახალი დაბები. აქამდის მხოლოთ უცხო სტუმრები — ვაჭრები იჩენდენ თავს ევროპის მწერლობაში.

ან. წერეთლისა.

შემდეგი იქნება)

თავის მოვლა.

ოგიერთი ავათმყოფობის მიზეზათ გაციება ხდება. გაციება ასუსტებს სხეულს, დასუსტებულ სხეულს კი ადვილათ ერევიან ბაცილები. გაციების წინაალმდეგ ჩვენში საუკეთესო საშუალებათ სითბო მიაჩნიათ.

გაციებისაგან თავის დასაფარავათ და სხეულის გასაძაგრებლათ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცივ წყალს.

უჩვეულმა ადამიანმა ცივ წყალში ბანაობა უნდა დაიწყოს ზაფხულზე, როცა წყალი შემთბარია—თიბათვის პირველი რიცხვებიდან.

პირველ დღეებში უმჯობესია ბანაობა ნაშუადღევს, როცა წყალი უფრო თბილია, შემდეგ-კი უნდა იბანოთ დილით ადრე და მზის ჩასულს. ნამეტანი დიდხანს გაჩერება წყალში არ ვარგა: როგორც-კი შენიშნავთ, რომ წყალში ყოფნა აღარ გაამებსთ, უნდა ამოხვიდეთ, კარგათ შეიმშრალოთ ტანი და შემდეგ ჩაიცვათ. თუ წვიმს, ან ძლიერი ქარია, ბანაობა არ ვარგა. ახალ ნასადილევს არ უნდა იბანოთ. მდინარეში ბანაობის დროს ვარგია ყურებში ბამბის დაცობა, რომ შიგ წყალი არ ჩავიდეს. ვისაც ზღვა ეახლოება, ზღვაში ბანაობა ძალიან სასარგებლოა.

მდინარეში ბანაობა ჩვენში შეიძლება ენკენისთვის პირველ რიცხვებამდე; შემდეგ-კი საჭიროა ტანის ზელა სოველი ტილოთი. ცივ წყალში დაასველეთ ტილო ან პირსახოცი, გაიხადეთ პერანგი და დაიზილეთ კარგათ მთელი ტანი, მკლავები, კისერი, ისე რომ კანი დაწითლდეს. ამის შემდეგ მშრალი ტილოთი შეიმშრალეთ ტანი, ჩაიცვით პერანგი, ნიფხავი გაიხადეთ და ფეხები დაიზილეთ. ტანის დაზელა სველი ტილოთი საჭიროა დილით—ლოგინიდან ადგომისას და ღამე—დაწოლისას.

ბევრი გატაცებულია გიმნასტიკით. რამოდენიმე წესი არსებობს საგიმნასტიკო ვარჯიშობისა. რომელი მათგანიც უნდა

შეასრულოთ, შედეგათ მოსდევს კუნთების გამკვრივება, გამაგრება და განვითარება. თონთლო კუნთებს, მკვრივი კუნთები სჯობია თუნდა იმიტომაც, რომ უფრო აძშვენებს ადამიანის გარეგნობას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კუნთების სიმაგრე სრულეითაც არ ამტკიცებს ადამიანის ჯანმრთელობას. კუნთები არ წარმოადგენენ სიცოცხლის მთავარ ასოებს; კუნთების დანიშნულება მოძრაობაა. კუნთებზე დამოკიდებულია ადამიანის ღონე. შესაძლებელია, ადამიანი ძალიან ღონიერი იყოს, მაგრამ ამავე დროს სნეული. რატომ? იმიტომ რომ სასიცოცხლო ასოებს შეადგენენ გული, ფილტვები, თირკმელები, ღვიძლი, ტვინი.

შესაძლებელია, ადამიანს კუნთები ღონიერი ჰქონდეს, გული ან ღვიძლი კი დასნეულებული. ამგვარი ადამიანი დიდხანს ვერ იცოცხლებს და მალე მოკვდება. სამაგიეროთ შესაძლებელია ისიც, რომ ადამიანს კუნთები სუსტი ჰქონდეს, შინაგანი ასოები კი მაგარი. ამგვარი ადამიანი ჯანმრთელია და დიდხანსაც იცოცხლებს.

მაშასადამე თავი და თავი მნიშვნელობა კუნთების სიმაგრესა და ღონეს კი არა ჰქონია, არამედ შინაგანი ასოების სიმრთელეს. სხვა და სხვა გვარი გიმნასტიკა ამაგრებს თუ არა შინაგან ასოებს,—ძალიან საეჭვოა; გულს რომ ასუსტებს და ჰქანცავს, ეს-კი დამტკიცებულია.

საუკეთესო გიმნასტიკა თვითონ ბუნებამ დაუწესა ადამიანს, — ეს არის მუშაობა. აიღეთ სოფლის მუშა. თუმცა ის ხშირათ რიგიან სასმელ-საჭმელსა და თავის მოვლას მოკლებულია, არც საგიმნასტიკო ვარჯიშობის წესებს იცნობს, მაგრამ კუნთებიც მაგარი აქვს, შინაგანი ასოებიც მთელი.

რატომ? იმიტომ რომ ის მუშაობს.

მაშასადამე საუკეთესო გიმნასტიკა მუშაობაა.

თოხნას, ბარვას, შეშის ჭრას, ხერხვას არავითარი გიმნასტიკა არ შეედრება. სხეულის სავარჯიშოთ კარგია წყალში ცურაობა ნავით და პანაობა, სხვა და სხვა გვარი თამაშობა ჰაერზე და მოგზაურობა მთა-ადგილებში.

ქალაქ ადგილას, საცა ხშირათ ადამიანი მოკლებულია ყოველივე ამას, ზომიერი საგიმნასტიკო ვარჯიშობა საჭიროა, რომ სხეული მოძრაობაში იყოს.

ვარჯიშობა მარტო სხეულს კი არ უნდა, — გონებას უფრო ესაჭიროება.

საუკეთესო ვარჯიშობას ტვინისათვის შეადგენს სასარგებლო წიგნების კითხვა და ბუნების დაკვირვება. მინდორი, ტყე, მთა, მდინარე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაუშრეტელი წყაროა ყველასათვის, ვისაც კი სურვილი აქვს, ბუნება შეისწავლოს დაკვირვებითა და მისი სურათებით დასტკბეს. საძირკველს ცოდნისას იძლევა ახალგაზრდობა. თუ ეს საძირკველი მტკიცეა, ღრმა სიბერემდი აღარ მოგწყინდებათ ზედ შენება და ახალ ახალი ცოდნის შეძენა. ხოლო ვინც ახალგაზრდობაში ცოდნის საძირკველს ვერ ჩაჰყრის, ვაი იმისი ბრალი — სიბერემდი რეგვენი დარჩება.

ძალიან კარგი არის და სასარგებლო გონების გაწრთვნისათვის შემდეგი ჩვეულება: უნდა გქონდეთ რვეული და ყოველ ღღე ან ხანდაზმით ჩასწეროთ შიგ ყოველივე, რაც ცხოვრებაში ან ბუნებაში თქვენს განსაკუთრებულს ყურადღებას მიიპყრობს.

როდესაც ჰკითხულობთ წიგნს, იმას ნუ ეცდებით, რომ რაც შეიძლება, ბევრი წაიკითხოთ მოკლე ხანში. მე ვიცი ისეთი პირები, რომლებიც ერთი დღის განმავლობაში საკმაოთ მოზრდილ წიგნს გაათავებენ. ერთი თვის შემდეგ რომ ჰკითხოთ, წაკითხულიდან ძალიან ცოტაღა ახსოვთ. უნდა იკითხოთ იმდენი, რამდენის მონელებაც, შეთვისება გონებას შეუძლია დაუღალავათ. უმჯობესია, ცოტა წაიკითხოთ და გულდასმით, ვიდრე ბევრი და უგულის-ყუროთ.

კერძო ადამიანის ცხოვრებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნებას. სუსტი ხასიათის ადამიანი ვერც საკუთარ თავს არგებს, ვერც სხვას გამოადგება. ზოგი ადამიანი თავიდანვე იბადება მტკიცე ხასიათისა, მაგარის ნებისა. მაგრამ შრომით, ვარჯიშობით სუსტი ნების განმტკიცებაც შესაძლებელია. მე მინახავს ისეთი ახალგაზრდა, რომელიც ბუნებით კეთილია, პატიოსანი, სხვების — უფრო ხშირათ-კი უვარგისი ამხანაგების ზეგავლენით — ზოგჯერ ბოროტათ, უპატიოსნოთ იქცევა. სუსტი ხასიათის არისო, ამბობენ ამგვარი პირების შესახებ. რას ნიშნავს ეს? აი რას.

როდესაც მე ვხედავ, ვგრძნობ, რომ ესა და ეს საქციე-

ლი უზნეოა, უპატიოსნო, მაგრამ ამხანაგებს ხათრს ველარ ვუტეხავ და ჩავდივარ მას, ეს იმას ამტკიცებს, რომ მე საკუთარი ნება არ გამაჩნია, რომ მე არა ვარ უფალი ჩემის თავისა. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმდენი სიმტკიცე, რომ გააკეთოს მხოლოდ ის, რაც თვითონ მას მიაჩნია კარგ სასარგებლო და საჭირო საქმეთ. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმდენი გამბედაობა, რომ არ აჰყვეს სხვას იმ საქმეში, რაც იმის გულს არ მოსწონს.

— მაშ ჯიუტობა კარგი თვისება ყოფილა! მეტყვით.

არა, ჯიუტობა ცუდი თვისებაა, ხასიათის სიმკტიცე-კი კარგი.

ჯიუტობა სხვა არის, ხასიათის სიმტკიცე-კი სხვა. როცა მე ისეთ საქმეს ვიცავ მაინცა და მაინც, რაშიაც მე ჯერ არაფერი არ გამეგება, ან რაც მე თვითონ არ მომწონს გულში, და სხვის რჩევას, აზრს არ ვუჯერი,—აი ეს ჯიუტობაა. ხოლო როცა მე რაიმე საქციელი არ მომწონს, შეცდომათ მიმაჩნია და არავითარის დაპირებით, მუქარით, რჩევით ან ძალდატანებით მას არ გავაკეთებ,—აი ეს არის ხასიათის სიმტკიცე. საკუთარ შეცდომაში რომ გამოვტყდე და სხვის კარგ რჩევას გავყვე, ეს კი არ დამამცირებს, უფრო ამამაღლებს. აგრეთვე ამამაღლებს მტკიცეთ დაცვა იმისი, რაც მე სიკეთეთა და ჭეშმარიტებათ მიმაჩნია.

როგორ, რა გზით შეიძლება ხასიათის განმტკიცება, როცა ის სუსტია?

როცა კუნთები სუსტია, რათი ვამაგრებთ მას? ვარჯიშობით.

ვარჯიშობითვე შეიძლება სუსტი ნების გამაგრებაც.

რაში გამოიხატება ნების ვარჯიშობა?

გრძნობა კარგისა და ცუდის გარჩევისა ყოველ ახალგაზრდასა აქვს. ხშირათ ახალგაზრდა ატყობს, რომ ეს და ეს მისი მოქმედება, სურვილი ცუდია, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. აგრეთვე ბევრჯერ ჰხედავს, რომ ესა თუ ის მისი განზრახვა და სურვილი კარგია, მაგრამ არ ასრულებს მას. თუ ყოველი ადამიანი ძალას დაატანს თავის თავს და ეცდება, ასრულოს ყოველ დღე თავისი კარგი მისწრაფებანი და ცუდი კი არ შეასრულოს, ამით ის თავის თავს დაიმორჩილებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ნებას განამტკიცებს და სრული უფალი გახდება თავისი თავისა.

ადამიანი ხშირათ ატყობს ავსა და კარგს, მაგრამ ავი საქმე იზიდავს, კარგი არა; ავის გაკეთება უნდა, კარგისა არა. ამგვარი ადამიანი ყოველ დღე უნდა ებრძოდეს თავის თავს, ყოველ დღე უნდა ცდილობდეს შეასრულოს ის კარგი, რისი შესრულებაც მას არ უნდა და არ შეასრულოს ის ცუდი, რისი შესრულებაც მას სურს. ამგვარი ბრძოლა ძნელია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველი ჩვენგანი დასძლევს ამ სიძნელეს. ამგვარი გზა ცხოვრებაში საუკეთესო საშუალებაა ნების განსამტკიცებლათ.

არის ერთი რჩევა ინდოეთის ფაკირებისა: ყოველ დღე აკეთე რამოდენიმე ხანს ის, რაც შეგაწუხებს, და ნუ გააკეთებ იმას, რაც გასიამოვნებსო. ეს რჩევა დიდის ასოებით უნდა დასწეროს თავის ოთახში ყოველმა ახალგაზრდამ.

ივ. გომართელი.



გასართობი.

(ფრანგულიდან)

მშვენიერი სადილი.

ოგზაურობდა ჩინეთში ერთი ფრანგი. ერთ დღეს, როდესაც ეს ათვალიერებდა ქალაქს გზა დაჰკარგა პეკინის დახლართულ ქუჩებში. ფრანგი დაიღალა, ძრიელ მოშივდა და პირველ შეხვედრილ სასადილოში შევიდა და საჭმელი რამ მოითხოვა. თუმცა ჩინური ინჩი არ იცოდა, მაგრამ ანიშნა ხელით და ერთმა ზრდილმა მოსამსახურემ საჩქაროზედ მოურბევინა ქადა.

მგზავრმა გაშინჯა ვემო, მოეწონა და შეჭამა. შემდეგ უნდოდა შეეტყო, თუ რის ხორცისა იყო გაკეთებული ქადა და მოსამსახურეს დაეკითხა: „ხვი-ხვი?!“ (ვითომ იხვისაო).

ბიჭი მიხვდა ნაკითხს და მიუგო ჰამ, ჰამ, ჰამ! (ძაღლისაო).

ყასაბი და ვექილი.

ერთი დიდი ძაღლი მოდიოდა საყასპოს გვერდით. სულმა წასძღია და ერთი კარგა დიდი ნაჭერი ხორცი გაიტაცა და გაიქცა. ყასაბმა იცოდა, რომ ძაღლი ეკუთვნოდა ერთ ცნობილ ვექილს, რომელიც იმის დუქნის მეზობლად სცხოვრებდა. ყასაბი მაშინვე გეეშურა ვექილთან და შესჩივლა: „მინდა რჩევა გკითხოთ, ბატონო! შეიძლება გადავახდევინო ფასი იმ დიდ ნაჭრის ხორცისა, ძაღლმა მომტაცა დუქნიდან, იმის პატრონს?“

— რატომაც არაო, შეჰყვირა კანონების მცოდნემ, რომელსაც ფიქრადაც არ მოუვიდა, თუ მტაცებელი იმის ძაღლი იქნებოდა.

— მაშ კარგი, ბატონო. თქვენი ძაღლი გახლდათ მტაცებელი და ვალდებული ბრძანდებით გადამიხადოთ ოთხი ფრანკი, დიდი ნაჭერი ხორცის საფასურად.

ვექილმა მაშინვე გადიხადა ოთხი ფრანკი და ყასაბი კმაყოფილი დაბრუნდა თავის დუქანში. მაგრამ... წამის შემდეგ მიიღო შემდეგი ანგარიშის ბარათი: ბატონმა ყასაბმა უნდა გადიხადოს ვექილის სასარგებლოდ ათი ფრანკი იმ რჩევისათვის, რომელიც ნახევარ საათის წინ მიიღო“.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

„სახალხო გაზეთი“

ყოველდღიური საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთი

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

ПОДПИСКА НА 1912 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ . . .	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода . .	3 р. 50 к.	На полгода . . .	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცდა მესამე წელიწადი.

მიიღება კვლავაც ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ბატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1912 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь", Эриванская площадь, домъ Харазовой

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ **Р. Д. Бебіевъ**.

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. І. Амираджиби.